ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№281 (340) 12-19 აგვისტო 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ის, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული – აკაკი შანიძე

პროსტიტუცია კონსტიტუციის ფარგლებში

– “კულტურული და ეკოტურიზმი უნდა განვავითაროთ და არა ორგიების ტურიზმი”

– “80-იან წლებში, სოხუმი და გაგრა ჩვენთვის “კაზანტიპი” იყო... ჩვენ გავირყვენით, გავიხრწენით და ამის გამო დავისაჯეთ...”

მიმდინარე წლის ივლისის მიწურულს მთავრობის ადმინისტრაციასთან **“კაზანტიპის”** ფესტივალის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა. გავრცელებული ინფორმაციით, აქციის ორგანიზატორი ბიზნესმენი ლევან ვასაძე იყო. მოგვიანებით, მან ეს ინფორმაცია უარყო, თუმცა განაცხადა, რომ სამოქალაქო პეტიციას, რომელიც **“კაზანტიპის”** ფესტივალს აპროტესტებს, უერთდება.

ლევან ვასაძე, ბიზნესმენი: – მე არ ვარ ამ აქციის ორგანიზატორი. მე პეტიციის საინიციატივო ჯგუფის წევრი ვარ და მიმაჩნია, რომ ეს ფესტივალი არ უნდა ჩატარდეს...

გაზეთი დაინტერესდა იმით, თუ რატომ არის მიუღებელი ჩვენი საზოგადოებისათვის ეს ფესტივალი.

– იმიტომ, რომ ეს მხოლოდ მუსიკალური ფესტივალი არ არის. ეს კვაზისექტანტური ორგანიზაციაა, სადაც ნარკოტიკების მასობრივ მოხმარებასა და ჯგუფურ გახრწნილებას აქვს ადგილი. ეს სისაძაგლე სჭირდებათ იმ ქვეყნებს, რომელთაც სხვა არაფერი აქვთ შესათავაზებელი ტურისტებისთვის. ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი ქვეყანა, ზღაპრული ბუნებით, პოტენციალით, კულტურით და ეკოტურიზმი უნდა განვავითაროთ და არა ორგიების ტურიზმი.

– ტრადიციულად (რა თქმა უნდა, ეს **“ტრადიციაც”** ამერიკიდან არის **“შემოგდებული”**) ორგიები და ნარკოტიკების მასობრივი მოხმარება იქნება დაშვებული, მიუხედავად იმისა, რომ **“კაზანტიპის”** ორგანიზატორები ნარკოტიკების გამოუყენებლობის ფიცს სდებენ. მთელი ეს ღონისძიება ნარკოტიკების გამოყენებისა და სექსუალური ორგიების მოწყობის დევიზით მიმდინარეობს და ამიტომაც იზიდავს ხელში იოლად ჩასაგდებ მასას – გამოუცდელ და ცხოვრების ნიუანსებში ჩაუხედავ გულუბრყვილო ახალგაზრდობას, რომელსაც ბრმა მიდრეკილება გააჩნია ე.წ. **“თავისუფალი ცხოვრებისადმი”** და ამ ფენომენმა რომ საკუთარ **“ტრადიციულ”** ღირებულებებზე (ნარკოტიკები და სექსი) უარი თქვას, მომხიბვლელობას და მიმზიდველობას დაარტყამს, რაც ფინანსურად დაარტყამს **“კაზანტიპის”** ორგანიზატორებს! ამიტომ, არავის სჯერა იმისა, რასაც ღონისძიების ორგანიზატორები ჰყვებიან – უბრალოდ **“სკუტერებით”** ვსეირნობთ და ბატუტზე ვხტუნაობთო... ყველამ იცის, რომ ნარკოტიკების მასიური მოხმარება და სექსუალური ორგიები იქნება, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ტრადიციებს, პრინციპებს და კანონმდებლობას, და თუ ამაზე თვალს დახუჭავს ხელისუფლება, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კონსტიტუციის ფარგლებში იქნება მოქცეული და არსებული კანონმდებლობა უხეშად არ დაირღვევა თვით კანონმდებლის მიერ, რისი **“დიდოსტატებიც”** ავადსახსენებელი **“ნაციონალები”** იყვნენ! **“კაზანტიპის”** ღონისძიების ჩატარება შეურაცხმყოფელია როგორც სამეგრელოსთვის, ისე მთლიანად საქართველოსთვის. გაოგნებულია საქართველოს მოსახლეობა – რატომ ვაკეთებთ ამას?!.. ეს თავის დროზე **“ნაციონალების”** პროექტი იყო, მათი ინიციატივით დაიწყო ამაზე საუბარი და საკვირველია, ამ მთავრობამ რატომ უნდა გააგრძელოს ეს პოლიტიკა.

მართალია, საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია, დასჯადი იქნება ფესტივალზეც... – თავისუფალი სექსი ხომ არ ისჯება კანონით. გარდა ამისა, ერთ ამბავს გიამბობთ, რაც ყოველ წელს ხდება ხოლმე თბილისის ახლოს მდებარე კურორტ კიკეთში, სადაც ტარდება ასეთივე ფესტივალი, უბრალოდ ბევრად უფრო მცირე მასშტაბის, **“Kiketi Open Air”** და ლამის ყოველ ღამე სასწრაფო სასწრაფოზე მოდის, ზედმეტი დოზისგან და გულის რევისგან გათიშული ახალგაზრდები, ლამის ეშელონებით გაჰყავთ.

ეს შეურაცხმყოფელია როგორც სამეგრელოსათვის, ისე მთლიანად საქართველოსათვის

ეს ყოველწლიურად მეორდება და ასეთ რამეებში პატრული არ ერევა, რადგან უფრო **“ზემოთ”** წყდება ყველაფერი. ფაქტია, რომ ასეთი ტიპის ღონისძიებებს ვიღაც აფარებს ხელს.

თავიდანვე ითქვა, რომ ეს ადგილობრივ მენტალობაზე მორგებული იქნებოდა, მაგრამ როგორ, ყაბალახებით თავდამშვენებულები გაიკეთებენ ნარკოტიკს თუ ჩოხა-ახალუხში გამოწკეპილები იხტუნავებენ ბატუტზე?!. აბა რას გეტყვიან: ნარკოტიკებს გავიკეთებთ და სექსუალურ ორგიებს მოვაწყობთ და თუ შეიძლება შეგვიშვითო?

აღსანიშნავია ისიც, რომ ფესტივალის ტერიტორიაზე შესვლა საკმაოდ ძვირი ღირს – ათასობით ახალგაზრდა 600 ლარს გადაიხდის, შევა, მოიხმარს ნარკოტიკს, გაირყვნება სექსუალურად, შემდეგ კი გამოვა და ასეთ ცხოვრებას გააგრძელებს დანარჩენ საქართველოშიც.

მოსახლეობისა და სპეციალისტების აზრით, 80-იან წლებში, სოხუმი და გაგრა ჩვენთვის **“კაზანტიპი”** იყო. გაზეთი არავის აყენებს შეურაცხყოფას, მაგრამ ათეისტისთვის ეს გაუგებარია. დიახ, ჩვენ გავირყვენით, გავიხრწენით და ამის გამო დავისაჯეთ... ვიღაცა გვეტყვის, არა ჩემო კარგო, ვისზე ნაკლებები ვართ და რატომ არ უნდა გავერთოთო. არ არის ასე. ქვეყნის ვექტორი, საზოგადოების ნარკომანიზაციაზე კი არა, მის გამოჯანმრთელებაზე უნდა იყოს მომართული.

სისულელეა, იმ ვითომ ექსპერტების ნააზრევი, ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარებაზე. ეკონომიკის აზრზე არ არიან, თორემ რამდენიმე ათასი სლავი **“პუტანა”** ჩამოვა თუ არა, ეს ჩვენს ეკონომიკაში სურათს ვერ შეცვლის.

სამწუხაროა ისიც, რომ ქართული საზოგადოების ნაწილი **“კაზანტიპის”** ღონისძიების ჩატარებას ამართლებს და მიესალმება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ფულის შოვნის გზის აღმოცენებას, თუმცა, რის ხარჯზე, ამაზე საუბარს შეგნებულად გაურბიან. სოციალურ ქსელში წიოკობენ იმის თაობაზე, რომ მაშინ ხელისუფლებამ და ბიზნესმენებმა უნდა მოხსნან ქისას თავი და მისცენ იმ გაჭირვებულ და ყველა მთავრობისგან დავიწყებულ ხალხს ფული, რათა ნორმალურად იცხოვრონ. აი, ერთ-ერთი კომენტარი: **“დავიჯერო ახლა ვინც იქ წავა ყველა ნარკომანი და გადაგვარებული იქნება? თუ არადა, აგერ, თქვენც ამბობთ კიკეთში ასე ხდებაო და მანდაც უკრაინელები არიან? თუ ასე გული შეგტკივათ, მილიონერების შვილებისთვის რომ ხსნით სკოლებს, იმ სკოლებში ერთ ანაკლიელ გაჭირვებულ ბავშვს მაინც ასწავლით? როდესღაც ხომ უნდა დაიწყოს ამ დავიწყებულ რაიონებში, სადაც არაფერი არ არის ახალგაზრდის დასაკავებლად, რადაცის კეთება? ბოლო ზარის მერე რომ თბილისისკენ მოდის ყველა – რატომ? იმიტომ რომ ჩამკვდარია რაიონში ყველაფერი. ხელის შეწყობა უნდა ხალხს რეალურად და არა გრილი კაბინეტიდან “ნატაციების” კითხვა. ამ რადაც ორკვირიან დიმპტაურზე კი ნუ იხევთ ტანზე, იმაზე იფიქრეთ, რომ მიწები დაუკანონოთ ხალხს და დახმარებით და წაშველებით ააშენონ და იხეირონ ქართველებმა, და არა ისე, თურქებს რომ მისცეს მთელი ბათუმი ერთ ლარში და, აქეთ, ქობულეთი – სომხებს...”**

სამწუხაროდ, სიმართლეა, და თანაც საკმაოდ მწარე, მაგრამ არც ამან უნდა მოგვცეს ჩვენი ახალგაზრდობის განარკომანებისა და სულიან-ხორციანად გარყვნის უფლება!

განა ფაქტი არ არის, ეს ყველაფერი კეთდება **“ევროამერიკული სტანდარტებით”**, იმისთვის, რომ დაუპირისპირონ მამების თაობა ჩვენს ახალგაზრდებს. თითქოს, ჩვენ მათ ვუკრძალავთ გართობას და დასვენებას. ჩემი თაობის ადამიანებიც ვჭოფილვართ როკ კონცერტზე და ჯაზიც გვიყვარს. ეს ჯამფინგი და ბატუტზე ხტუნაობა კი არის ფასადი... აბა რა, იტყვიან, რომ ჩვენ მოვდივართ იმისთვის, რომ დამე ღრეობა იყოს და ტაბლეტები გავავრცელოთ, სექსუალური გარყვნილება დავნერგოთ და ამისთვის შემოგვიშვითო?!

ვაკეთებთ **“საქმეს”**, მაგრამ წინასწარ ვერ ვახდენთ მოსალოდნელი რისკების გათვლას და მხოლოდ შემდეგ გვიწევს ხოლმე ბრძოლა შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გარდა ყველა უბედურებისა, ამ ღონისძიებას ავ აჩრდილად ადგას ერთი დიდი საფრთხე. როგორც უკვე აღვნიშნე, აღნიშნული ღონისძიების ყველაზე აქტიური მონაწილეები არიან ე.წ. **“პუტანები”,** რომლებიც ძირითადად პროსტიტუციით ირჩენენ თავს. ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ საკმაოდ მძიმე სახის ვენერიული დაავადებით **“დააჯილდოვონ”** სექსუალური პარტნიორები.

ამასთან, თავისთავად ისმის კითხვა: რატომ აარჩიეს **“კაზანტიპის”** ჩატარების ადგილად მაინც და მაინც ანაკლია. რა, თუ ზღვის სანაპიროზე უნდოდათ ამ ორგიის გამართვა, აჭარაში ნაკლები ზღვა და პლაჟია თუ სასტუმროები არ არის, რომ ხალხი განთავსდეს?

აქედან გამომდინარე, არის კიდევ ერთი გარემოება – საქართველოს ავისმსურველთა მიერ ღონისძიებაში წინასწარ ნაღმად ჩადებული საფრთხე – რომ საკმაოდ ექსცენტრიული მეგრელი ახალგაზრდა (მით უმეტეს, თუ დათვრება) ეჭვიანობის სცენას გაითამაშებს ახლადგაცნობილი უკრაინელი გოგონას მიმართ, რასაც შეიძლება მეტად არასასურველი შედეგი მოჰყვეს – თვით მკვლელობაც კი. ამით კი, სამეგრელოს არაკეთილმოსურნეები კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ **“მეგრელთა სიველურეს”** და ენას მოიქავებენ ჩვენი ულამაზესი კუთხის ლანძღვით!

ნაციონალებს იმაზე ვუკიჟინებდით, რომ ფავორში რამდენიმე კახპა აიყვანეს და ფულს ახარჯავენო და ამათ კი 15 ათასი კახპა ჩამოიყვანეს უკრაინიდან...

როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ: **“ფერი ფერსაო...”**

ადრე ეს სამარცხვინო და ვერაგული ღონისძიება ყირიმში ტარდებოდა, მას შემდეგ კი, რაც ეს ტერიტორია რუსეთმა დაიბრუნა, მან უარი თქვა ყირიმში ამ მავნე ღონისძიების ჩატარებაზე, რადგან პროსტიტუცია და ნარკომანია მკაცრად აქვთ აკრძალული და, უკრაინელმა ორგანიზატორებმა ამიტომაც ნახეს დაბალი ღობე – საქართველო!

თავშისაცემად ისიც გვეყოფა, რომ ამ ღონისძიებაზე უკვე დარეგისტრირდა 7.500 თურქი მამაკაცი და 3.500 ქართველი გოგონა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენივე ნებით ვაბარებთ საქართველოს საჯიჯგნად თურქ გადამთიელებს!

მოკლედ, შეუსაბამობათა მთელი ჯაჭვი აიყოლია შლეიფად ჯერ კიდევ არდაწყებულმა **“კაზანტიპმა”** – გამოვიდა ტელევიზიით მისი პრეზიდენტი და დაიწუწუნა, რომ ანაკლიის მოსახლეობამ საკუთარი საცხოვრებელი სახლები ლამის სასტუმროებად გადააკეთა, ოჯახს ვერ ნახავთ, რაიმე რომ არ ჰქონდეთ მიშენებული, მაგრამ რა გინდათ რომ ჰქნათ – ადრე თუ ერთი საწოლის ფასი 10 ლარს შეადგენდა, ამჟამად იგი ას ლარამდე არის გაზრდილიო. ეს კი ხელს შეგვიშლის ხალხის მოზიდვაში და გაისად **“კაზანტიპის”** საქართველოში ჩატარების საკითხი ეჭვის ქვეშ დადგებაო. (დავღუპულვართ და ეგ არის! ჯანდაბამდეც ჰქონიათ გზა – წავიდნენ და უკრაინის თვალუწვდენ სტეპებში ჩაატარონ მსგავსი ანტიქრისტიანული შეკრებები – ადგილი არ ეყოფათ თუ რა?!).

მოკლედ, როგორც იტყვიან, ყველა თავისკენ მიითლის. ამ მართლაც სატანისსახიან პრეზიდენტს იმაზე კი არაფერი უთქვამს, რომ **“კაზანტიპის”** ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთი არანორმალურად ძვირი ღირს (ალბათ მასში შედის ნარკოტიკების და სექსუალური მომსახურების თანხაც) და თუ გასაწყლებულმა ანაკლიელმა ოჯახმა ოთახების გაქირავებით რაიმე თანხა აიღო, ამ ოჯახის შვილს იგივე თანხის **“კაზანტიპის”** ბილეთში გადახდა მოუწევს!

P.S. გასული საუკუნის სამოციან წლებში საბჭოთა კავშირის ისედაც დოგმატურმა იდეოლოგიამ პირწმინდად წააგო პროპაგანდისტული ომი მუსიკალურ ანსამბლებსა თუ შემსრულებლებთან – “ბიტლზთან”, “პინკ ფლოიდთან”, “სტინგთან”, “აბბასთან”, ელვის პრესლისთან, ჯო კოკერთან, ბენი გუდმანთან თუ სხვა ჯაზმენებთან, რადგან ამ ხელოვნებმა “წაიყვანეს” საბჭოთა ახალგაზრდობა. მაგრამ ეს ახალგაზრდობა არ დაუკარგავს საქართველოს – ისინი მხოლოდ კომკავშირმა და კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა. ახლა კი გვიახლოვდება ის საშიშროება, რომელიც საქართველოს დაუკარგავს თაობებს.

“კაზანტიპი” ამ დამღუპველი პროცესის უვერტიურაა და თუ ფხიზლად არ ვიქნებით, დიდი ეროვნული ტრაგედია არ დაახანებს!

როლანდ ჯალაღანია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების
წევრი

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის იმ თავს, სადაც სამეგრელოზე მსჯელობაა მოცემული, შემდეგი დასათაურება აქვს: **„აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“.** სათაური სხვადასხვა ეპოქის ამსახველ სამ ქრონიმს აერთიანებს. ამას გარდა, ვახუშტი ნაშრომში კიდეც აღნიშნავს: **„ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“** (ვახუშტი IV, 1973: 742). და მართლაც, ისტორიულად არსებული და წერილობითი წყაროებით დადასტურებული სამი პოლიტიკური ერთეული – ეგრისის, აფხაზეთისა და იმერეთის სამეფოები სახელოვანი მეცნიერის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს.

ეგრისის სამეფო აერთიანებდა არგვეთს, იმერეთს, თაკვერს (დღევანდელ რაჭა-ლეჩხუმს), გურიას, კლარჯეთს (ძირითადად დღევანდელ ლაზეთს), სვანეთს, დღევანდელ სამეგრელოს და აფხაზეთის ზემო ნაწილს ანაკოფიის მთამდე.

ეგრის-აფხაზეთის ბიზანტიის ბატონობიდან გათავისუფლება და აფხაზთა სამეფოს შექმნა დაკავშირებულია ლეონ II-ის სახელთან. აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულს აფხაზთა სამეფო ეწოდა, აფხაზეთის სამთავროს წამყვანი როლის გამო. თვით ლეონმა მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული. ეს აქტი განხორციელდა VIII ს-ის დასასრულს. აფხაზეთის სამეფო მოქცეული იყო ნიკოფსიასა და ჭოროხს შორის და აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა. მის დედაქალაქს ქუთაისი წარმოადგენდა. აფხაზეთის მეფენი ზოგჯერ ეგრისის მეფეებად იწოდებოდნენ. ვახუშტი გვაუწყებს: **„დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი, აწ აფხაზეთი რვა საერისთაოდ“** (იქვე: 796).

978 წელს **„აფხაზთა სამეფოს“** ტახტი დაიკავა დედით აფხაზეთის მეფეების შთამომავალმა ბაგრატ III ბაგრატიონმა. იგი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე გახდა.

იმერეთის სამეფოს წარმოქმნა ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგი იყო. **„აღწერის“** ავტორი დასავლეთ საქართველოს რეგიონებს უძღვნის რამდენიმე ქვეთავს: ლეჩხუმისათვის, რაჭისათვის, ოდიშისათვის, აფხაზეთისათვის, სვანეთისათვის, გურიისათვის, და სხვ. მრავალი.

ჩვენ ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ ოდიშ-აფხაზეთზე, ვინაიდან ეს ორი რეგიონი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მეოხებით, ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თუკი ეგრისი ადრე (მსგავსად აფხაზეთისა, იმერეთისა) გაიგივებული იყო მთლიანად დასავლეთ საქართველოსთან, XIII-XV საუკუნეებში უკვე ვიწრო მნიშვნელობით აღნიშნავდა მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფით დასახლებულ მხარეს, რაც ანაკოფიისწყალსა (ახლანდ. მდ. ფსირცხა) და ცხენისწყალს შორის იყო მოქცეული.

გვიან შუა საუკუნეებში ოდიშის საერისთავოს ბაზაზე შექმნილ სამთავროს **„ოდიში“** ეწოდა, თუმცა უცხოურ წერილობით წყაროებში **„სამეგრელოდან“** ნაწარმოები სახელწოდებებიც გვხვდება (ბერაძე ქსე, VIII, 1984: 711).

თანამედროვე სამეგრელოს ძირითადი ნაწილი შუა საუკუნეებში ოდიშის სახელწოდებით იყო ცნობილი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი ოდიში სამეგრელოს სამთავროს პარალელური სახელწოდებაა.

სახელწოდება **„ოდიშის“** პირველმოხსენიებას ვხვდებით XI ს-ით დათარიღებულ **„ანდრია სალოსის ცხოვრების“** ხელნაწერში. მასში ვკითხულობთ: **„ღმერთმან უწყის რაიცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭირე, მაგრამ დედაი ოდიშს დაწერილი იყო“** (სსმ აღწერილობა III, 1948: 291; ბერაძე 1993: 460-461).

„ოდიშის“ ეტიმოლოგიის პირველი ცდა მოცემულია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში: მეცნიერი ფიქრობს, რომ მისი წარმოქმნა ფარნავაზის ეპოქას უკავშირდება. ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა XI საუკუნის მემატიანის – ლეონტი მროველის ცნობას. ვახუშტის ცნობით, **„ხოლო... განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყოდიან: „ოდეში იყომე ქუეყანა იგი ჩუენი“, და ისახელნენ აწამდე ესრეთ“** (ვახუშტი IV, 1973: 776).

„ოდიშის“ ეტიმოლოგიას საინტერესო გამოკვლევა უძღვნა ვუკოლ ბერიძემ. ის ფიქრობს, რომ სიტყვა ოდიშში **ო-** არ წარმოადგენს პრეფიქსს, არამედ ძირეულია, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ პრეფიქსს თავისი ფარდი **ე-** ან **ო-** სუფიქსი ქორონიმ ოდიშში არ მოეპოვება. ო-ს თავსართად მიჩნევის შემთხვევაში უნდა გვქონოდა ოდიშე ან ოდიშო, ე. ი. სადიშე ან სადიშო, სხვაგვარად: დიშ-ეთ-ი–დიშების ქვეყანა, ოსიმინდეს, ომანე-ს, ომანო-ს, ოგვაჯეს, ოხვამეს, ოჭვათეს, ოჭვათოსა და სხვათა მსგავსად. მკვლევარი დაასკვნის, რომ ოდიში მეგრული ნათესაობითი ბრუნვაა და **„ოდის კუთვნილს, ოდის ქვეყანას“** ნიშნავს. თვით ოდის კი ქვეყნის პატრონად, მოსავლისა და ჭირნახულის ღმერთად მიიჩნევს: **„ოდი მთავარი ღვთაებაა ქვეყნისა... ოდი ღვთაებაა როგორც მოსავლისა, ისე მოუსავლობისა; ოდი ღმერთია როგორც წვიმისა, ისე მზისა“** (ბერიძე 12, 1959: 168-169).

თ. ბერაძე მიმოიხილავს იოანე ბატონიშვილის, მოსე ჯანაშვილის, სარგის კაკაბაძის, ნიკო მარისა და ვუკოლ ბერიძის მოსაზრებებს **„ოდიშის“** ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით და დაასკვნის, რომ არცერთ მათგანს საგულისხმო ახსნა არ წარმოუდგენია (იქვე: 461-462).

ვ. ბერიძის თვალსაზრისს ისტორიკოსი თ. მიბჩუანი შეცდომით მიაწერს თამაზ ბერაძეს; თუმცა იქვე დასძენს, რომ აღნიშნული სახელწოდების წარმოშობის შესახებ ამ უკანასკნელსაც საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს (მიბჩუანი 1989: 283).

თ. მიბჩუანი ფიქრობს, რომ **„ოდიში“** შედარებით მცირე გეოგრაფიული არეალის მომცველი ტერიტორიის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. გარკვეული მიზეზების გამო დროთა განმავლობაში გაფართოებულ ტერიტორიასაც ოდიში ეწოდა. სვანური ჰად **„იელი“** (მეგრ. იბლი/ივლი/ეი/ელიში კოკა) წარმოადგენს ᲐᲬ თავსართდაკარგული ტოპონიმის – ადიშის (სოფელი მესტიის რაიონში) ფუძეს. სვანური ჰადიშ მეგრულ ენობრივ სამყაროში შეიცვალა ჰოდიში ფორმით, რადგან მეგრულისთვის დამახასიათებელია ა/ო-ს მონაცვლეობა... დროთა განმავლობაში ᲐᲬ ბგერა აღნიშნულ გეოგრაფიულ სახელსაც ჩამოცილდა და, მაშასადამე, დღემდე მოღწეული ფორმა ოდიში ნიშნავს იელნარს. მკვლევარი დაასკვნის: საფიქრებელია, რომ სვანური სამთავროს რეზიდენციის სახელი ოდიში ზანური ეთნიკური მასის მომძლავრების შემდგომ ფართო პოლიტიკური ერთეულის ცნებად გადაიქცა (იქვე: 285).

ვახუშტის ცნობით, ოდიში ეწოდება ცხენისწყალსა და ანაკოფიას შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიას: **„საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკუერსა და ოდიშს შორისი მთა... ოდიშსა და სვანეთს შორისი, სამხრით მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კუალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი – შავი ზღუა. დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამპრით ზღუამდე... ჩდილო – კავკასის მთა“** (იქვე: 776). აქ სახელოვანი მეცნიერი მიზნად ისახავს ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშის პოლიტიკური რეალობის აღდგენას.

მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით განსაზღვრული ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყალი და ლეჩხუმ-ოდიშის გამყოფი მთა იყო; სამხრეთი საზღვარი რიონზე გადიოდა და გურიისგან გამოყოფდა; ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდიშის გამყოფ ეგრისის ქედს გასდევდა; დასავლეთის კი შავ ზღვამდე ვრცელდებოდა.

იაკობ რაინეგსის ცნობით, მეგრელი ან სამეგრელო ეწოდება ზოგან დაბლობ, ზოგან ბორცვიან და მთიან პროვინციას, რაც უწინ კოლხეთს ეკუთვნოდა. კოლხეთს ანუ ლაზეთს ძველად სპარსელები, რომაელები და ბერძნები მონაცვლეობით იპყრობდნენ და ანადგურებდნენ. ამ პროვინციას პირველად ეგერია დაერქვა და იქაური მმართველი მთავარიც **„ეგრისის ბატონად“** იწერება. მოგვიანებით, იბერიიდან (იმერეთიდან – ი. კ.) გამოყოფის შემდეგ მას სადადიანო ეწოდა (რაინეგსი 2002: 119). მოგზაური ერთმანეთისგან განასხვავებს სამეგრელოსა და ოდიშს (იქვე). ედუარდ აიხვალდიც მიიჩნევს, რომ სამეგრელო ორ დიდ პროვინციად – ლეჩხუმად და ოდიშად იყოფა. (აიხვალდი 2005: 184).

ჟაკ ფრანსუა გამბას თქმით, სამეგრელო სამი პროვინციისაგან შედგება. პირველს, საკუთრივ სამეგრელოს ანუ ოდიშს (Odezchi) დასავლეთით შავი ზღვა ესაზღვრება, სამხრეთით – გურიის სამთავრო, აღმოსავლეთით – იმერეთი, ჩრდილოეთით – ენგური...

მეორე პროვინცია ლეჩხუმი (Lezgune) განლაგებულია ცხენისწყლის მარცხენა მხარეს. იწყება ხონის ზემოთ და გადაჭიმულია კავკასიის მწვერვალამდე და იმ მთებამდე, სადაც სვანები ცხოვრობენ... მესამე პროვინცია დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს და სამურზაყანოს და აფხაზეთის სახელითაა ცნობილი. იგი ჩრდილოეთით გადაჭიმულია კოდორის კონცხამდე, ამავე სახელწოდების მდინარემდე, რასაც ძველი ავტორები კორაქსს უწოდებდნენ. აღმოსავლეთით ესაზღვრება წიბელის (Tchibelli) საკმაოდ მაღალი მთები (გამბა 1987: 111-112).

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდებას – მეგრელი, მეგრელები, ვახუშტი იმოწმებს მეეგრელნის ფორმით, მაგრამ მათი განსახლების არეალის აღმნიშვნელი ქორონიმი სამეგრელო ვახუშტის თავის ნაშრომში არც ერთხელ არ გამოუყენებია.

„სამეგრელო“ პირველად მოიხსენიება XI საუკუნის I ნახევრის ძეგლში, რაც ცნობილ საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს – ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. იგულისხმება მაქსიმე აღმსარებლის ქართული კიმენური რედაქცია, რაშიც ვკითხულობთ: **„წარგავლინეს სამარადისოსა ექსორიობასა და პყრობილებასა კერძოდ სამეგრელოსა... წარავლინა ექსორიობად სამეგრელოს“** (კეკელიძე 1918: 93; ბერაძე 1993: 459).

ვახუშტი იცნობს მაქსიმე აღმსარებლის სვინაქსარს (რაც კარგად ჩანს თაკვერის აღწერისას: **„თაკვერს უწოდებენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩენს ცხოვრება, რამეთუ „გარდმოვლეს ოვსთა გზა თაკვერისაო“, ვინაიდან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი“**), მაგრამ მასში მოხსენიებულ ტერმინ **„სამეგრელოს“** მაინც არ იყენებს. სამეგრელო ბიზანტიური ლაზიკის, მთელი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით დასტურდება ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის **„ისტორიის“** ქართულ, 1142 წლით დათარიღებულ რედაქციაში, ხოლო XII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ **„დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში“** ტერმინი **„სამეგრელო“** ვიწრო მნიშვნელობითაა ნახმარი და მეგრელებით დასახლებულ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს აღნიშნავს. მაშასადამე, **„სამეგრელოში“** XI საუკუნისათვის მოიაზრებოდა როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს, ისე საკუთრივ მეგრელებით დასახლებული ტერიტორია (ბერაძე იქვე: 459-460).

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ყურადღებას იპყრობს ოდიშის სამთავროს საზღვრების ცვალებადობის შესწავლის თვალსაზრისით. **„უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი იძლევა ოდიშის საზღვრებს არა მხოლოდ მისი დროისას. სახელოვანი ისტორიკოსი ამ ქვეყნის საზღვრებს განიხილავს არა როგორც უცვლელს, მუდმივს, არამედ გვიჩვენებს, თუ როგორ და რატომ იცვლებოდა იგი“** (ბერაძე 1967, 2).

ვახუშტი ფიქრობდა, რომ გარკვეულ პერიოდამდე, ანუ, მისივე სიტყვებით – **„ძუელად“, „ოდესმე“,** იმერეთის სამეფოს დასავლეთი საზღვარი უნაგირას მთაზე გადიოდა: **„ხოლო სიგრძე იმერეთისა არს ლიხის მთის თხემიდამ უნაგირამდე ძუელად, და აწ ქართლის საზღვრიდამ... ცხენისწყლამდე...“** (ვახუშტი IV, 1973: 747); ტეხურის ხეობის აღწერისას კი მეცნიერი შენიშნავს, რომ **„ამას უწოდებენ უნაგირას. ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად“** (იქვე: 777).

ოდიშის საზღვრების შესახებ ვახუშტისეული ცნობების საგანგებო ანალიზი მოცემულია პროფ. თამაზ ბერაძის ნაშრომში **„ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან“.** მკვლევარი შენიშნავს (ბერაძე სიგკ, III, 1967: 163).

რაიმე პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ იმერეთი უნაგირას მთიან ზოლამდე აღწევდა, ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ ვახუშტის ცნობების სასარგებლოდ თ. ბერაძე იმოწმებს რამდენიმე არაპირდაპირ ფაქტს. კერძოდ:

1. ხალხური გადმოცემით ოდიში სწორედ ტეხურის მარჯვენა ნაპირიდან იწყებოდა;

2. დადიანთა სამფლობელო რომ ვახუშტისეული უნაგირას აღმოსავლეთით არ ვრცელდებოდა, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გვინფეოდალური პოლიტიკური ერთეული – სალიპარტიანო მათ სამფლობელოში მოგვიანებით შევიდა.

3. თავის დროზე სამეფო ხელისუფლების მიერ აგებული ჭყონდიდის ტაძრისადმი, XV საუკუნემდე დადიანებს რაიმე განსაკუთრებული ყურადღება ან ზრუნვა არ გამოუჩენიათ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ XIII საუკუნის II ნახევარზე ადრე დათარიღებული, ტაძრისათვის დადიანთა მიერ შეწირული არც ერთი ნივთი არ მოიპოვება. ამასთანავე, XII ს-ის დასაწყისიდან ჭყონდიდელობა საქართველოს უმაღლესი ვეზირის ტიტულს და განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს სამეფო კარზე. საქართველოში ძლიერი სამეფო ხელისუფლების არსებობის პირობებში, **„სანამ მწიგნობართუხუცესობა-ჭყონდიდელობაში რეალური შინაარსი იდო, ჭყონდიდის მონასტერი და მისი სანახები სამეფო უნდა ყოფილიყო“** (ბერაძე სიგკ, III, 1967: 164-165).

თ. ბერაძე ზემოთ მოყვანილი არაპირდაპირი ცნობების მოშველიებით ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ვახუშტი გეოგრაფიულ აღწერაში გვაძლევს ოდიშის საერისთავოს საზღვრებს XII-XIII საუკუნეებში. ამ დროისათვის უნაგირას აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, მაშასადამე, ჭყონდიდის მონასტრის შემოგარენიც, ოდიშის საერისთავოს საზღვრებში არ შედიოდა (იქვე: 165).

მკვლევარი უფრო დაზუსტებით გადმოგვცემს XII-XIII სს. ოდიშის საერისთავოს საზღვრებს და ფიქრობს, რომ მას აღმოსავლეთიდან სამოქალაქო ესაზღვრებოდა. სასაზღვრო ზოლი გადადიოდა უნაგირას ქედის დასავლეთით და ტეხურის ზემო წელში, სალიპარტიანოდ სახელდებული მდინარის დასავლეთი ნაწილიც სამოქალაქოში შედიოდა. ამ დასკვნამდე იმ გარემოებას მიჰყავს, რომ **„ლიპარტიანები თავის დროზე სამოქალაქოს ერთი ნაწილის ერისთავები იყვნენ“** (ბერაძე 1967: 168). ტეხურის ქვემო წელის დასავლეთ მხარესაც (დაბლობ ნაწილს), შხეფის ციხის ჩათვლით, თ. ბერაძე სამოქალაქოს შემადგენლობაში ათავსებდა (იქვე). მისივე ვარაუდით, შუა საუკუნეების ქართული წყაროების ოდიშის საერისთავოს ტერიტორია ემთხვეოდა ბიზანტიურ ხანაში უნაგირას ქედის დასავლეთით მდებარე ქვეყნის ტერიტორიას. მაშასადამე, ღალიძგასა და უნაგირას შორის მოქცეული ტერიტორია ოდიშად იწოდებოდა და დასავლეთი საზღვარი, ბიზანტიურ ხანაში, ისევე როგორც შუა საუკუნეებში (XII-XIII სს.), საფიქრებელია, ღალიძგაზე გადიოდა, აღმოსავლეთი საზღვარი კი ნაქალაქევის სამხრეთით მდ. ტეხურს მიუყვებოდა (იქვე: 153, 168-169).

თ. ბერაძის მიერ XII-XIII სს. ოდიშის საერისთავოს აღმოსავლეთ საზღვართან დაკავშირებით დამოწმებული ცნობებისადმი სრული ნდობის გამოცხადება ძალიან ჭირს, რადგან მსჯელობა ფაქტობრივი არგუმენტაციით გამყარებული არ არის.

ვახუშტი ერთგან აღნიშნავს, რომ ოდიში ეწოდება ცხენისწყალსა და ანაკოფიას შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიას: **„საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკუერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამხრით და კუალად თაკუერიდამვე წარსრული კავკასი ჩრდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სუანეთს შორისი; სამხრით მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კუალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთით შავი ზღუა; დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამხრით ზღუამდე; ჩდილოთ კავკასის მთა. ხოლო ცხენისწყლის დასავლეთიის კერძო... ოდიშისა არს...“** (ვახუშტი IV, 1973: 776).

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

ფიქრები ინდოეთში არსებულ ლიტერატურულ ენებზე და არამხოლოდ მათზე...

წუხელ ღამით, შორეულ ინდოეთზე ფიქრმა ძილი გამიკრთო... უფრო სწორედ, მანდ არსებულ უამრავ ენასა და კილოკავზე ფიქრმა... ამეკვიატა – ნეტავ, თუ ზრუნავს ვინმე მათ დაცვა-განვითარებაზე-მეთქი... ბოლოს და ბოლოს გამახსენდა, რომ რაღაც ინფორმაცია ამის თაობაზე ჩემს პირად არქივშიც მომეპოვებოდა და დავიწყე ძებნა... ბევრი, რომ აღარ გავაგრძელო, აი, რა აღმოვაჩინე – ინდოეთში გასული საუკუნის 50-იან წლებში დაუარსებიათ ლიტერატურული აკადემია (sahitia akademi), რომელიც ლიტერატურულად ცნობს ქვეყნის 22 ენას! აკადემია ხელს უწყობს ერთი ენიდან მეორეზე თარგმნას... ამ აკადემიის დევიზია: **„ინდური ლიტერატურა იწერება მრავალ ენაზე"**... 19 ენას გააჩნია სახელმწიფო ენის სტატუსი... აი, არასრული ჩამონათვალი ინდოეთში სახელმწიფოს მიერ დაცული ენებისა: სანსკრიტი, ჰინდი, თამილური, ბენგალიური მალაილამი... ნახეთ, როგორ იცავს ინდოეთის ხელისუფლება საკუთარ ენობრივ-ლექსიკურ საუნჯეს! ხომ ხედავთ, აზიურ ქვეყანასაც შესძლებია ჯანსაღი ტოლერანტულობის, სოლიდარობის, დემოკრატიულობის კლასიკური მაგალითის დემონსტრირება! ასე, რომ, არსებულ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მოვუწოდებ სერიოზულად დაფიქრდეს ამაზე და არა მხოლოდ ცარიელი რიტორიკით, არამედ, ქმედითი ნაბიჯებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუციებით, შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმებით და გარანტიებით უზრუნველყოს კოლხურ-იბერიული ენების დაცვა-განვითარება!

ნიკო მარი და... ტარიელ ფუტკარაძე ანუ მეცნიერული ნამუსისა და უნამუსობის მარადიული დილემა მეგრულ ენასთან მიმართებაში...

მეგრულ ენასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი... დროდადრო იმართება დისკუსიებიც, თუმცა სასაცილოც არის და სამარცხვინოც მავანთა მხრიდან მეგრული ენის არსებობის ფაქტის უარყოფა!

ახლა გთავაზობთ ორი მეცნიერის, უფრო სწორედ ერთი მეცნიერის და მეორე ფსევდომეცნიერის ორ თვალსაზრისს მეგრული ენის თაობაზე და თვითონ განსაჯეთ! ოღონდ, განსაჯეთ საკუთარი სინდისის და ღირსების შესაბამისად! უმორჩილესად გთხოვთ ყველას – **„ეს მე არ მეხებას"** პოზიციიდან ნუ შეხედავთ ამ უმნიშვნელოვანეს და პრობლემატურ საკითხს!...

1). **„მეგრული ენა არის მეგრული ენა. იგი ლინგვისტურად არ არის კილო, არც დიალექტი".** აი, ამას ბრძანებდა გენიალური და უდაოდ მსოფლიო სახელის მქონე დიდი მეცნიერი ნიკო მარი...

2). **„მეგრელებმა აღიარონ, რომ მეგრული დიალექტია და არა ენა, არადა აღიარონ, რომ ქართველები არ არიან".** აი, ამ გაუგონარი მკრეხელობის ავტორი კი, გახლავთ ჰიპერაქტიური ლექტორის წოდებაზე ნომინირებული ტარიელ ფუტკარაძე...

კიდევ ერთხელ გთხოვთ ყველას, საკუთარი სინდის-ნამუსის შესაბამისად შეაფასოთ ეს ყველაფერი...

ზურაბ კვარაცხელია

„როდესაც დისერტაციას ვიცავდი, უშიშროების ერთ-ერთ დახურულ ობიექტზე, სადაც მასალას ვეცნობოდით, საქართველოს ისტორიასაც გადავავლე თვალი, – ჭეშმარიტ ისტორიას, რომელიც არათუ ხალხში, უდიდეს ეშელონებშიც კი ბევრმა არ იცის – უნდათ გურულებს, იმერლებს, კახელებს, რაჭველებს თუ არ უნდათ, ჩვენი წინაპრები მეგრელები და სვანები არიან. ჩვენი ფესვები იქიდან მოდის, ქართული სახელმწიფოებრიობაც იქიდან დაიწყო. ჩვენ კი ამ კუთხის განადგურება მოვინდომეთ, რასაც არავინ გვაპატიებს, რადგან ეს იყო დანაშაული საკუთარი ერისა და ისტორიის წინაშე."

თენგიზ ეპიტაშვილი,
გენერალი,
გაზეთ „ასავალ-დასავალი"
28.03.1998 წ.

„დღემდე ქ-ნი ბურჯანაძე მალავდა საკუთარი გაქრისტიან-დემოკრატების ფაქტს და განცხადებებს კვლავინდებურად არარსებული "ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის" სახელით აკეთებდა!"

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში **„ძდმ"**-ს ფოთის, წყალტუბოს, წალკის და ბოლნისის ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა საჩივარი შეიტანეს, რომლითაც ითხოვენ **ძდმ**-ს თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძის არჩევის ბათილად ცნობას. ქრისტიან-დემოკრატები მიუთითებენ, რომ 6 მაისს გამართულ ე.წ. ყრილობაში არ მიუღიათ მონაწილეობა **„ძდმ"**-ს ადგილობრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეებს. ზოგადად ყრილობა ჩატარდა გასაიდუმლოებულ ვითარებაში, ისე რომ ყრილობის შესახებ არ ეცნობათ პარტიის წევრებს, არც წინასწარ და არც შემდომ. ყრილობას არ ესწრებოდნენ ჟურნალისტები. ყრილობის გარეშე თავმჯდომარის შეცვლა კი პირდაპირ ეწინააღმდეგება **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ"** ორგანული კანონის მე-17 მუხლს, ისევე როგორც **ძდმ** წესდების მე-5 მუხლს. ქრისტიან-დემოკრატები აგრეთვე ითხოვენ საჩივრის წარმოების დასრულებამდე შეჩერდეს ნინო ბურჯანაძის, როგორც **ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის** თავმჯდომარის უფლებამოსილება. მართალია 7 აგვისტოს ჩატარდა **ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის** ყრილობა, რომელმაც თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძე აირჩია, მაგრამ პარტიის წევრების უმეტესობა ამ ყრილობას არალეგიტიმურად მიიჩნევს.

მოკლედ, ყველგან სადაც კი ეს დედაკაცი მივიდა, ისე აურ-დაურია ყველაფერი, რომ ძაღლი პატრონს ვერა სცნობს.

კოოპერატივების განვითარებასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრა

სენაკს ეწვია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშველაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებთან და კოოპერატივის განვითარებით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრაზე მან ისაუბრა კოოპერატიული ბიზნეს მოდელის უპირატესობაზე, საქართველოში კოოპერატივებისა და ასოციაციების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, საქართველოს მთავრობის პოტენციურ სუბსიდიებზე, საგადასახადო სტიმულებზე, საკრედიტო და საგრანტო პროგრამებზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის ტექნიკური დეტალები, სახელმწიფოს მხრიდან კოოპერატივების ხელშეწყობისთვის დაგეგმილ შედავათები და პროგრამები.

სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრა საინფორმაციო ხასიათს ატარებდა.

"რჩეული" რჩეულ ადამიანზე...

მას წინათ ჩვენი გაზეთის ხელმადლიანმა ავტორმა და ჩემმა მეგობარმა, შესანიშნავმა მწერალმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე შენგელიამ რარიტეტად ქცეული წიგნი მაჩუქა, რომელსაც ფრიად ორდინალური სახელწოდება აქვს – **"რჩეული"**. მიუხედავად ამისა, წიგნი რარიტეტია ორი მიზეზის გამო – იგი 1961 წელსაა გამოცემული და, რაც მთავარია, ეძღვნება ტრაგიკული ბედის მქონე ცნობილ ქართველ პესიმისტ პოეტს ტერენტი გრანელს. წიგნის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი გახლავთ ასევე ცნობილი ქართველი მწერალი ელიზბარ უბილავა.

როგორც ჩანს, ალექსანდრე შენგელიამ სული და გული გამოატანა აღნიშნულ წიგნს, რაზადაც მასზე გაკეთებული სამახსოვრო წარწერა მეტყველებს: **"ჩემს როლანდს! ჩემთვის უძვირფასესი ავტორის სამაგიდო წიგნი, რომელიც მხოლოდ შენთვის მემეტება. ალ. შენგელია".**

აქ დავამთავრებ საუბარის ჩემი მეგობრის განცდებზე (ამის თაობაზე ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში ვისაუბრებ, როცა მის წიგნს **"მეორე და მესამე ათასწლეულთა გზაშესაყარზე ქარბორბალაში მოხვედრისას თქმული"** წარვუდგენ მკითხველს) და აღნიშნულ წიგნს დავუბრუდები და მკითხველს მივაწვდი ნაწყვეტებს სულგანათლებული მწერლის ელიზბარ უბილავას მიერ შესრულებული წინასიტყვაობიდან:

"1934 წლის გვიან შემოდგომის ერთ ღრუბლიან დღეს თბილისის პირველი საავადმყოფოს პროზექტურიდან პეტრე-პავლეს სასაფლაოსკენ მიასვენებდნენ ცხედარს. ექიმი-სანიტრებისა და რამდენიმე ქართველი მწერლისაგან შემდგარი პროცესია რაღაც გულჩათხრობილი, ჩუმი სევდით მიყვებოდა კუბოს, რომელშიც ესვენა უნიჭიერესი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის ნეშტი. პოეტის ცხედარი პეტრე-პავლეს ეკლესიის მახლობლად მიწას მიაბარეს. მოგვიანებით დებმა ძეგლიც აუგეს საყვარელ ძმას. საფლავის რუხ ქვას, რომელზეც ამოკვეთილი იყო პოეტის ცნობილი სიტყვები: "არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა", – ბოლო დრომდე ამშვენებდა მისივე პორტრეტი. ცისკენ თვალებმიპყრობილი სევდიანი პოეტი, თითქოს მუზების ღმერთს ესაუბრებოდა, "მგლოვიარე სერაფიმებთან" რითმებით ბაასობდა...

...ტერენტი გრანელის პოეზია უაღრესად ორიგინალური მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. გრანელის ეს თავისებურება და მაღალნიჭიერება შეუმჩნეველი არ დარჩათ მის თანამედროვეებს: 1924 წელს ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთიც კი გამოვიდა, სადაც პოეტს აღფრთოვანებული სტატიები და ლექსები მიუძღვნეს ვასილ ბარნოვმა, პოლიო ირეთელმა, დარია ახვლედიანმა, ივანე გომართელმა, ვარლამ რუხაძემ, გიორგი ნადირაძემ, დავით კობიძემ, კონსტანტინე კაპანელმა და სხვებმა...

...ვერავინ უარყოფს, რომ ტერენტი გრანელმა ძლიერად განიცადა ქართველი, რუსი და უცხოელი დეკადენტების გავლენა, რამაც იგი დაცემის განწყობილებამდე და მიწიერი ცხოვრების უარყოფითამდე მიყვანა; მაგრამ ჩვენი მსჯელობა ცალმხრივი იქნებოდა, თუ ტერენტი გრანელის პოეზიაში არ დავინახავდით გაორებას, სადაც ერთმანეთს ებრძვის ორი საწინააღმდეგო ტენდენცია სიკვდილსა და სიცოცხლზე, სადაც მკვეთრი კონტრასტებითაა დაპირისპირებული წუთისოფელი და მარადისობა, დღე და ღამე, შუქი და ჩრდილი, სიბნელე და სინათლე...

...ტერენტი გრანელის პოეტური მემკვიდრეობის გამოცემას ერთგვარი მნიშვნელობა აქვს მეოცე საუკუნის ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესწავლისათვის, მისი ზრდისა და განვითარების თვალსაზრისითაც. ვერცერთი მკვლევარი, რომელიც გულმოდგინედ ჩაწვდება და მიმოიხილავს ჩვენი საუკუნის ოცი-ოცდაათი წლების ქართულ ლიტერატურას, გვერდს ვერ აუვლის ტერენტი გრანელის უაღრესად თავისებურ და საინტერესო პოეზიას".

ამ რამდენიმე ნაწყვეტითაც კარგად ჩანს, თუ როგორი რუდუნებით აგროვებდა და შეისწავლიდა სულმნათი ელიზბარ უბილავა გენიალური, უბედო (მაგრამ უბადლო) პოეტის გერენტი გრანელის შემოქმედებას. ეს გახლდათ არა მხოლოდ პროფესიული ინტერესი, არამედ ხასიათთა მსგავსებაც, რადგან ელიზბარ უბილავაც, ტერენტი გრანელივით, ბედს შეურიგებელი და რევოლუციური შემართების შემოქმედი გახლდათ. სწორედ მან დააყენა პირველმა გალაქტიონ ტაბიძის თვითმკვლელობის ვერსია და კომპეტენურად დაასკვნა, რომ გენიოსი პოეტის სიკვდილი იმდროიმდელ პოლიტიკურ ელიტას აძლევდა ხელს. ელიზბარ უბილავამ ამ ამბავს უძღვნა ფორმით ზოგადი, მაგრამ შინაარსით დოკუმენტური მოთხრობა **"ზიზილოს ფავორიტები"**, რითაც სამუდამოდ გადაიკიდა ქვეყნის კომუნისტური ხელმძღვანელობა. მოთხრობა კი მოგვიანებით, მაგრამ მაინც დაბეჭდა სათანადო წინასიტყვაობით ალექსანდრე შენგელიამ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ერთობლივ გამოშვება **"სალიტერატურო ფურცელში"**. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული წინასიტყვაობა საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის:

"ეს მოთხრობა, რომელსაც დღეს გთავაზობთ, 1973 წელს დაიწერა და თავდაპირველად გაზეთ "თბილისში" უნდა გამოქვეყნებულიყო, ხოლო 1975 წელს – გამომცემლობა "მერანში", მაგრამ ჯერ გაზეთის ნომრიდან ამოიღეს და ავტორს დაბეჭდვაზე ზრდილობიანად უთხრეს უარი, შემდეგ კი, როცა წიგნი აიწყო, აიკინძა, გასავრცელებლად მზადდებოდა, "ინსტანციამ" ბრძანა, შეეჩერებინათ მისი გავრცელება, როგორც მიუღებელი და მანკიერი ნაწარმოებისა. ამასთან, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, სადაც წიგნი დაისტამბა, მკაცრად გააფრთხილეს, რომ მკითხველს ერთი ეკზემპლარიც კი არ ჩავარდნოდა ხელში.

საქართველოს გამსახკომსა და მთავლიტის სამმართველოს დაევალა, მკაცრად დაესაჯათ წიგნის რედაქტორი, აგრეთვე "მთავლიტის" რწმუნებული, რომელმაც "ზიზილოს ფავორიტების" ბეჭდვისა და გავრცელების ნებართვა გასცა. რაც შეეხება ავტორს, მას, როგორც "პოლიტიკური პაქვილის" მთხზველს, ამჯერად წიგნის აკრძალვა აკმარეს, თუმცა არც თუ სახარბიელო რეპუტაცია შეუქმნეს.

შემთხვევითი არ იყო ამგვარი დევნა და წიგნის დაწვა.

მოთხრობა მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის საქმიანობას შეეხებოდა – იმ სამედიცინო დაწესებულების საქმიანობას, სადაც ჩვენს უდიდეს თანამედროვეს – გალაკტიონს სამკურნალოდ დაწოლის წინ კვირაობითა და თვეობით ალოდინებდნენ და მაინც ჩვეულებრივ პალატაში ათავსებდნენ, ხოლო ხელმძღვანელ მუშაკთა სიდედრ-სიმამრებს ეგრეთწოდებულ "ლუქსებს" უთმობდნენ.

– რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ გამოჩნდებოდა კაცი, რომელიც სკამზე შემდგარ გალაქტიონს ფანჯარას მზრუნველად გაუღებდა, ერთ ხელს მოსაჩვენებლად თვალებზე აიფარებდა და გულის სიღრმეში საოცრად კმაყოფილი და ბედნიერი მეორე ხელს სივრცეში გასაფრენად მიაშველებდა. – ვკითხულობთ "კრიტიკის" 1989 წლის მე-2 ნომერში დასტამბულ ერთ-ერთ პუბლიკაციაში, რომლის ავტორი გურამ ბენაშვილია.

ამ სიტყვებში უდიდესი სიმართლეა, რადგან მმართველი კასტის პირველ ეშელონს ყოველთვის აფრთხობდა მხილების შიში, რამეთუ სულს უმძიმებდა ის 30 ვერცხლი, რომელიც საკუთარი კერპის დამხობაზე თანხმობისათვის და 1956 წლის 9 მარტს თბილისში მუხანათურად დახოცილთა სისხლის საფასურად მიიღო.

რაც შეეხება "ზიზილოს ფავორიტებს", მათ არც მაშინ შეეძლოთ და არც ახლა შეუძლიათ ნასუფრალის გარეშე არსებობა" (როგორ შეშვენის ეს სიტყვები დღევანდელობასაც, როცა აშკარად ვლინდება ნომენკლატურის გაუმაძღრობა – **"ილორი"**).

აი, როგორი პიროვნება და შემოქმედი გახლდათ ელიზბარ უბილავა.

გაზეთ **"ილორის"** შემდეგ ნომრებში აუცილებლად დაიბეჭდება სულგანათლებულ ელიზბარ უბილავას მოთხრობა **"ზიზილოს ფავორიტები"**.

როლანდ ჯალაღანია

ვეხმაურებით დაბეჭდილს

ფსიქოტროპული პრეპარატები 800%-იანი ფასნამატით თავისუფლად იყიდება

პატივცემულო რედაქცია!

თქვენი გაზეთის 279-ე ნომერში (29 ივლისი-5 აგვისტო, 2014 წელი) გამოქვეყნდა წერილი სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძის სასწაულმოქმედი პრეპარატების თაობაზე, რომლის ფართოდ გამოყენებას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს ფარმაკომაფია. რა თქმა უნდა, საქართველოს ახალ ხელისუფლებას გაუჭირდება მოკლე დროში აღმოფხვრას ყველა ის დანაშაულებრივი სქემა, რისი წყალობითაც ავადსახსენებელმა ნაციონალებმა საქართველო ერთ დიდ "შავ ბაზრად" აქციეს და არალეგალურად ასეულ მილიონობით დოლარს შოულობდნენ, რასაც ახლა საქართველოს ავტორიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე შერყვნის საქმეს ახმარენ. მაგრამ არის დარგები, რომელთა დროულად მოწესრიგება აუცილებელია, რადგან იგი პირდაპირ ურტყამს მომხმარებელთა ჯიბეს! ერთ-ერთი ასეთი დარგია სააფთიაქო ქსელი, რომელიც ჯერ კიდევ იოლ ფინანსურ მოგებას დახარბებული ათასობით ვიგინდარის ლაღი ასპარეზია. დასკვნა ერთია: "ამ სფეროს სუსტი კონტროლი გარკვეული ბიზნესჯგუფებისთვის მომგებიან საქმედ იქცა"!

"ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ" ჩაატარა კვლევა და გამოავლინა, რომ ქვეყანაში ე.წ. სააფთიაქო ნარკომანიის პრობლემა კვლავ მწვავედ დგას. ძვირადღირებული ნარკოტიკული საშუალებების იაფი მედიკამენტებით ჩანაცვლების პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გასული წლის მიწურულს შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროებმა, ერთობლივი კანონპროექტი შეიმუშავეს, რომელიც სააფთიაქო ნარკომანიასთან ბრძოლას ისახავდა მიზნად.

კანონპროექტი 2014 წლის 24 იანვრიდან შევიდა ძალაში და მის თანახმად, აფთიაქებში ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტების რეცეპტის წარდგენის გარეშე გაყიდვა აიკრძალა. ასევე გაფართოვდა ამ ტიპის მედიკამენტების ნუსხა. თუმცა, როგორც ახალგაზრდა ფინანსისტები აცხადებენ, მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, სააფთიაქო ნარკომანია კვლავ სწრაფი ტემპით განაგრძობს ზრდას. ფსიქოტროპული მედიკამენტები, მიუხედავად მათი ურეცეპტოდ გაყიდვის აკრძალვისა, კვლავ თავისუფლად და ყოველგვარი ბარიერების გარეშე იყიდება. ამას მოწმობს **"ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის"** მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც ფსიქოტროპული მედიკამენტების უკონტროლო რეალიზაციის ფაქტს ადასტურებს.

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თბილისის მასშტაბით 15-მდე სააფთიაქო დაწესებულებაში სცადეს იაფი ნარკოტიკული თრობისთვის ყველაზე პოპულარული 6 დასახელების ფსიქოტროპული პრეპარატის (გაბაპენტინი, ბაკლოფენი, ზოლომაქსი, ქსანაქსი, დიაზეპამი, ტროპიკამიდი) შეძენა, რაც ყოველგვარი რეცეპტის მოთხოვნის და ბარიერის გარეშე თავისუფლად შეძლეს. ორგანიზაციის წევრებმა, კიდევ ერთხელ გადაამოწმეს ხსენებული პრეპარატების რეცეპტს დაქვემდებარების საკითხი და ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე დაუდასტურეს, რომ თითოეული ამ პრეპარატის რეცეპტის გარეშე რეალიზაცია წარმოადგენს კანონდარღვევას.

"რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა სააფთიაქო დაწესებულებებში ფსიქოტროპული პრეპარატების რეალიზაცია რეცეპტის გარეშე ხდებოდა არა დაუდევრობით, არამედ აბსოლუტურად შეგნებულად და გამყიდველი გარკვეულ "რეკომენდაციებსაც" იძლეოდა სხვადასხვა პრეპარატების მახასიათებლებზე ნარკოტიკული თრობის თვალსაზრისით. როგორც ჩანს, იაფ ნარკოტიკულ თრობაზე მაღალი მოთხოვნა და სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროს სუსტი კონტროლი გარკვეული ბიზნესჯგუფებისთვის მომგებიან საქმედ იქცა და ფსიქოტროპული მედიკამენტების იმპორტი ყოველწლიურად სწრაფი ტემპებით იზრდება, მათ შორის, მას შემდეგ, რაც რეცეპტის გარეშე რეალიზაცია აიკრძალა. მაღალ მოთხოვნას იმპორტიორები, როგორც ჩანს, მაღალი ფასით პასუხობენ და სხვადასხვა ფსიქოტროპულ პრეპარატებზე 400%-დან 1500%-მდე ფასნამატებს აწესებენ. 2010 წლიდან 2014 წლის (პირველი 7 თვის) ჩათვლით 24 ტონა, 6 დასახელების, 98 მილიონი აბი და ფლაკონი ფსიქოტროპული პრეპარატი შემოვიდა", – ამბობს **"აფბას"** პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე.

"აფბას" განცხადებით, საერთო ჯამში, დასახელებული 6 მედიკამენტის საბაზრო ღირებულებამ 50 მილიონ ლარამდე შეადგინა. ორგანიზაციაში ასევე აღნიშნავენ, რომ მედიკამენტების განბაჟება წონით ხდება და რიგ შემთხვევაში, კონკრეტული მედიკამენტი არ არის დაფიქსირებული, ასევე აღსანიშნავია, რომ იგივე სასაქონლო კოდით, რომლითაც ფსიქოტროპული მედიკამენტების განბაჟება ხდება, შემოტანილია 2 მილიარდი ლარის ღირებულების არაკლასიფიცირებული მედიკამენტები, რაშიც, სავარაუდოდ, ფსიქოტროპულ მედიკამენტებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს.

"ამ ყველაფრის შედეგი კი მკვეთრად ნეგატიურია, არაოფიციალური მონაცემებით ნარკოტიკული თრობის ამ იაფი წყაროთი ბევრი მოქალაქე სარგებლობს, მათ შორის არასრულწლოვნებიც, არადა ამ მედიკამენტებს საკმაოდ მწვავე უკუჩვენებები გააჩნია და ადამიანის ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს. თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი პრობლემა, კერძოდ, ფსიქოტროპული მედიკამენტები იწვევს ძლიერ დამოკიდებულებას და დაუშვებელია სპეციალური სარეაბილიტაციო კურსის გარეშე პრეპარატების მიღების შეწყვეტა. სამწუხაროდ, ეს არის არაეფექტიანი პოლიტიკის შედეგი და სახელმწიფოს ამ მიმართულებით დამატებით მოუწევს ხარჯების გაწევა", – განაცხადა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, პაატა ბაირახტარმა.

რ. შალამბერიძე

ამბები სამეგრელოდან

ანსამბლი „კუჩხი ბედინერი" სენაკელთა წინაშე

მიმდინარე წლის ივლისში, ტრადიციულად, როგორც ყოველ წელიწადს, სენაკელებს და არა მარტო მათ, ულამაზესი საღამო უძღვნა თავისი ხელწერით გამორჩეულმა ქორეოგრაფმა ზვიად გვასალიამ, რომელმაც 16 წელია ნიჭიერების, დახვეწილობის, ადამიანის უკიდეგანო შესაძლებლობების რეალიზების ზეიმად აქცია თავისი ფეიერვერკული მშვენიერების საღამოები.

სენაკის სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ **„კუჩხი ბედინერი"**-ს სოლო-კონცერტზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ცეცხლოვანი ცეკვები, აბაშის ფოლკლორულ ანსამბლ **„ჰარირა"**-ს მიერ შესრულებული სიმღერები. ისრაელიდან და ქ. მოსკოვიდან საგანგებოდ კონცერტისათვის ჩამოსული სტუმრების, ქორეოგრაფიული ანსამბლის **„ხორა იერუსალიმი"** (ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი ჰაგიტ ზარგარი) და ბავშვთა სანიმუშო ქორეოგრაფიული ანსამბლის „ზადორინკა" (სამხატვრო ხელმძღვანელი დინა კაზანცევა) შესრულებულმა ქორეოგრაფიულმა ნომრებმა მაყურებლის გულწრფელი ოვაცია დაიმსახურა.

ფესტივალებისა და კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ **„კუჩხი ბედინერი"**-ს სოლო-კონცერტი გახლდათ ქართული ხალხური ცეკვების, ეროვნული სულის, უძველესი ფოლკლორის ზეობის ზეიმი, დღე სასწაული, რომელიც დიდხანს გაჰყვებათ სენაკელებს; დღე, რომელმაც კიდევ ერთხელ დასტურყო, რომ სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა **„კუჩხი ბედინერი"** ღირსეულად დაიმკვიდრა საუკეთესოთა შორის საუკეთესოს სახელი.

„მე მოვდიოდი დასაბამიდან და ჩემი სული ყვავილივით მომქონდა შენთვის"

სენაკის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა თაობებისათვის საოცრად ახლობელი და ამავე დროს მიუწვდომელი, უფაქიზესი, წრფელი განცდების შემოქმედის – გოდერძი ჩოხელის – ფილოსოფიური წვდომის შედევრების საჯარო კითხვა.

ჩვენი ღვთივგაბრძნობილი მწყემსმთავრის, უწმინდესის კურთხევით, საქართველოში გამოცხადდა საჯარო კითხვის დღე, დაიწყო საოცარი მეტამორფოზა მომავალი თაობის სულიერი აღზევების, ინტელექტუალურად განვითარების, ეროვნული ცნობიერების გაღვივებისა.

მუნიციპალიტეტში ტრადიციად ქცეული საჯარო კითხვის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ. მასში მონაწილეობა მიიღეს ნოქალაქევის საზაფხულო სკოლის მოსწავლეებმა.

გოდერძი ჩოხელი... თუ კი კარგად ჩავუკვირდებით მისი სულის მოძრაობას, პესიმიზმის ფონზე ნათლად შევიგრძნობთ შემოქმედის სწრაფვას სოცოცხლისაკენ: **„ცას ვარსკვლავებით იცი რა აწერია? მე მოვდიოდი დასაბამიდან და ჩემი სული ყვავილივით მომქონდა შენთვის"; სიყვარულისაკენ: „სიყვარული ისეთი ბუნებისაა, დამტკიცებას არ საჭიროებს. იგი თვითონ მტკიცდება იქ, სადაც ფეხს დაადგამს".**



"შენ ხარ ვენახი"

დიმიტრი მეფისად (1125-1154) ცნობილი საგალობლებიდან ორი სათაურდება **„ღმრთისმშობლისა"**-დ.

მაცხოვრის დედისადმი მიძღვნილს, რომელიც იწყება **„ღმრთისმშობელი და ყოვლად"**-ით, ებუნებრივება ეს სათაური, მაგრამ განა იმასაც – **„შენ ხარ ვენახი"**-თ რომ იწყება? (იხ. ქ. მწერლ. 30-ათ ტომეულის მეორე, 1987, გვ. 278).

სასკოლო **„სამშობლო"**-ც (4-ე კლასი, 2001 წ. გვ. 52 **„გელათი"**) იგივე სათაურის ზეგავლენაშია: – უსათაუროდაა დაბეჭდილი, მაგრამ როგორც **„ღმრთისმშობლის უკვდავი ჰიმნი"**.

„შენ ხარ ვენახი", ვითომ წმ. მარიამს ემისამართება? საეურნალოდ, მეფის ბიოგრაფიის შემდგენელი ერეკლე ბიბიჩაძეა მეტ ცოდვაში თუ, საპატრიარქო? (იხ. ჟ. **„კარიბჭე"**, 2005 წ. ნ. 8. მთელი წლის ნომრები საჩუქრად მივიღე ლიანა ჯალაღონიასაგან).

იგივე სათაურია კორნელი კეკელიძის ორტომეულის **(„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია")** პირველი ტომის ყველა (1923, 1941, 1951, 1960, 1980) გამოცემებში? კორნელი ეყრდნობა ი. ალექსიშვილის ხელნაწერს, საიდანაც შეიძლება მოდიოდეს ეს უსწორო დასათაურება, ანუ **„შენ ხარ ვენახი"**-ს შინაარსის გაყალბება, რომ იგი ვითომ ღვთისმშობლის ქებადაა დაწერილი? ამაში, ეს დიდი მეცნიერი ერთხელაც არ დაეჭვებულა? არ მჯერა. მაშინ, რატომ უშვებდა ამ სათაურით?

მცდარი სათაურის უკუგდება ვსთხოვოთ საგალობელის შინაარსიანობას:

1. **„მზე"**, მაცხოვრის თიკუნთა სიაშია და **„თავით თვისით"** ბრწყინვა მხოლოდ მას თუ ძალუძს, მის მიწიერ დედა მარიამს კი – არა.

2. **„ვენახი"**-ც იგივე სიაშია, თავადაც უთქვამს **„მე ვარ-ო ვენახი"**. (იხ. ახალი აღთქმა, სახარება იოანესი: 15,5).

საგალობელი, გადასახედად, ათი კომლიდან ერთს თუ ექნება შინ და, ამ ნაკლსაც ამიტომაც ვაახლებთ, თანაც, ჩემეული შენიშვნების (1.2.) სისწორეშიც დარწმუნდებით.

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღჰყვავებული,
ნორჩი, კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სუნნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმა შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული."

მაშ, რატომ ასათაურებენ **„ღმრთისმშობლისა"**-დ? ძის ქება დედის ქებად (თუმცა კი ეწილვის) რისთვის საღდება? რამდენი მკვლევარი შეუყვანია შეცდომაში ამ ცრუ სათაურს? მე რამდენიმეს შეგახსენებთ:

ლ. გრიგოლაშვილი (იხ. ქ. მწერლობა ზემოხსენებულ ტომში).

ა. ვართაგავა (იხ. როგორ ცხოვრობენ ფრესკები, 1996. გვ. 48).

ლ. სირაძე (იხ. ესტეტიკური ნარკვევები, 1987. გვ. 5 და 15-16).

ზ. გამსახურდია (რუსთველი და ანტონ პირველი. იხ. წერილები, ესსეები, 1991, გვ.71).

ცრუ სათაურის **„მსხვერპლია"** რუსუდან შეროზიას პოეტური წიგნის (ლექსი და სიცოცხლე. 2007) ერთი ლექსის შინაგაგება, რომლის სათაურია: შენ ხარ ვენახი.

ვინ არის ის **„ავტორიტეტი"**, პირველად რომ დაუშვა შეცდომა **„შენ ხარ ვენახი"**-ს დასათაურებაში და რასაც უყოყმანოდ იმეორებენ საგალობელის შინაარსის გაუცნობლად? განა ყველა იმეორებს.

ეგვიპტური ენის დაუფლებამ და **„პირამიდების ტექსტებზე"** დაკვირვებამ ვლადიმერ ალფენიძეს აღმოაჩენინა, რომ ეგვიპტელებსა და კოლხებს ვენახის სახელად ერთი სიტყვა გვქონია: **„ბინეხი"**. და იქვე უწერია, რომ იესო ქრისტეა **„შენ ხარ ვენახის" ვენახი"**. იხ. გაზ. **„ერი და საზოგადოება"**, ნომერი 6. 1997. ივნისი. ვისარგებლე ვიოლა ზარქუას ნაჩუქარით).

„ოჯახური რეცენზიებიდან" –

მეუფე ბენედიქტე

ფიზიკურ უძლურებებს შენთვის ჩუქებული ბუნებრივი „ანაწერობა" მოერევა და დიდხანს გაცოცხლებს ბატონო როლანდ.

თემაზე: „ფიოშური, ანუ გლეხური" ლექსებად ჩაფიქრებული ციკლიდან, ერთი ბიძინა ივანიშვილის სურვილს მიეძღვნა, მეორე – მეგრული ენის დღეს. ფიოშურია ეს მესამე ლექსიც, უხარიათ მათი აზრის „ილორით" გახმაურება.

ირჩინუ ბაბუეფინი

ირჩინუ ბაბუეფინი,
მოთალეფ იყაზაყებუ,
იშენ ნამ, ვაიშებჩინი,
მაცი და, ალმაცადებუ.
ფივრქენდი: სუმ მოთალეფშე
ართ იშენ გეფიოშებუ,
სოფელს დო, ემერ-ამარ ვარ,
ფიოშეფ მიბრელ-ოშებუ.
საფიოშე ხანს ქოცუან
მაქუნი, მა მინარტებუ,
ქალაქის ვაშარჩქვანუან,
ფირქი აშინა მარტებუ,
ცუდესით, თემსით, მითქუალ, –
მინ-მინიშ მეტის ვარგებუ.
ა, ხანიც მარა, თე შვანიც
მუზმაშო უგუმართებუ,
მუშ შურობუმუც, ნარჩქვანი
მეუცოთ, გინმიშხვაშებუ.
უკლაში მოთაქ გამიმართ,
ვატყუქი, ვადმეთხიებუ.
ბაბუშ გინორთის მუთუნს ვართ,
ი, ჟირი, ქართშა მირტებუ.
(მითაჟამს ჩქინი ცოფე დო,
ათე ჟამს, ე, ისომხებუ?)
აბა, მი ბკითხენს, მუშენი?
ჩქიმი წოხოლე შხვას რტებუ,
ჟირი ვარ, ოთხიშ გურშენი
დუდი ვაუცვილ, დუს რგებუ,
რტებულეფიში ხემანწყუ
ოსურიც იშო გუტებუ,
ყებური ვეკუშქირიტაფ,
ეში, ხანს ათაწვალებუ.

ბეჯითი ჯალაღონია

როცა ცხონებულმა ზურაბ ჟვანიამ ევროკავშირის ტრიბუნიდან განაცხადა: “მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი”-ო, უამრავმა ქართველმა მაშინ ჩათვალა, რომ საქართველო დიდი ხნის ნაზიარები იყო ევროპულ კულტურას (ალბათ ევროპული უზნეობა და აღვირახსნილობა თუ ჰქონდათ მხედველობაში) და მას მენტალიტეტის შეცვლა სრულიადაც არ სჭირდებოდა. მაგრამ, ვაი, რომ თურმე გვჭირდება, და თანაც როგორ, რადგან ელტონ ჯონისა და ლბბტ საზოგადოების სხვა აქტივისტების ევროპის გარდა არსებობს ბეთჰოვენის, ბერნარდ შოუსაა და ვოლტერის ევროპაც...

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ტეხურსა და აბაშისწყალში თურმე ჭიქით შეგეძლო ამოგეღო წყალი და შეგესვა, რასაც ახლა არავის ვურჩევთ, რადგან მოწამვლას თუ არა, სხეულისათვის საზიანო რაიმე ბაცილას აუცილებლად აიკიდებს. მე-19 საუკუნეში თბილისში თულუხჩები დადიოდნენ და ტიკებით არიგებდნენ დასალევად მტკვრიდან ამოღებულ წყალს, ახლა კი მტკვარი იმდენად დაბინძურებულია, რომ მასში დაჭერილი თევზის მირთმევაც კი ფრიად საშიში საქმეა.

შეიძლება ითქვას, საქართველოს სოფელ-ქალაქები ერთ დიდ ნაგვის ბუდედაა გადაქცეული და ამის მიზეზი სწორედაც რომ ჩვენი უკულტურობა გახლავთ. შინ ყველაფერი სუფთად გვინდა რომ გვქონდეს, ნაგავს კი ქუჩაში ვყრით და იმაზე არ ვფიქრობთ, რომ ეს ნაგავი ჩვენს სტუმრებსა თუ ოჯახის წევრებს დახვდებათ წინ. სოფლებს ნაგავსაყრელები არ გააჩნიათ და ხევებსა თუ პატარა მდინარეთა კალაპოტში ჰყრიან ნაგავს. ამიტომ, წვიმის მოსვლის შემდეგ მდინარეებს იმდენი საშინელება მოაქვს, რომ არ შეიხედება.

და ამით ვაპირებთ ტურისტულ მექად ქცევას და სტუმრების მოხიბვლას!

სწორედ ჩვენს უკულტურობას ეხება ჟურნალისტ ლადო გოგოლაძის წერილი სათაურით

ᲓᲝᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲮᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ: “ᲕᲐᲭᲐᲝᲑᲐ” ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ, “ᲓᲘᲓᲓᲝᲠᲝᲑᲘᲡ” ᲒᲕᲔᲨᲘᲜᲝᲓᲔᲡ, ᲮᲐᲚᲮᲝ!

27 ივლისს ჩარგალმა სახალხო დღესასწაულს, **“ვაჟაობას”** უმასპინძლა. ვაჟაფშაველა, ჩვენგან აბსოლუტურად ყველაფერს იმსახურებს, ნაგვის გარდა, თუმცა დღესასწაულის შემდეგ სწორედ ნაგავი დავუტოვეთ იქ. როგორც ჩანს ერთმა ნაყინი შეჭამა და ქაღალდი დააგდო, მეორემ წვენი დალია და ბოთლი გადააგდო, მესამემ ბოლო ღერი სიგარეტი მოწია და ყუთი გადააგდო და ა.შ. ამას იმიტომ ვხსნი, რომ ის ნაგავი იქ ერთ ადამიანს არ დაუყრია, ყველამ დავყარეთ, მათ შორის იმათმაც, ვისაც არაფერი არ გადაგვიგდია, მაგრამ როდესაც ვხედავდით სხვა როგორ აგდებდა, არ მივუთითეთ არასწორ საქციელზე.

ვიღაც იტყვის, რომ თუ ახლომახლო ნაგვის ურნა არ არის, აბა რა ქნას ადამიანმაო. დალოცვილო, წარამარა რომ ევროპას ვედრებით და თან იმას გავიძახით ევროპა **“გაგვაპიდარასტებსო”**, ამ გარყვნილი ევროპისაგან კარგი რომ ვისწავლოთ, ტანზე დაგვფოთლავს?! ჰოდა, ამ საძაგელ ევროპაში, როდესაც ურნას ვერ ნახულობენ ცელოფანის პარკში ყრიან ნაგავს, მანამ ვიდრე ურნას არ ნახავენ. ჩვენც რომ ასე გავაკეთოთ დაშავდება რამე?!

ეჰ, ურნის ძიება კი არა, ურნასთან როცა ვდგავართ, მაშინაც გვეზარება ნაგვის ჩაყრა. დაახლოებით 2-3 მეტრიდან ვისვრით ნაგავს, თუ ჩავაგდეთ, ხომ კარგი, ხოლო თუ ძირს დავარდა, გამორიცხულია განმეორებით სროლაზე შევიწუხოთ თავი. საერთოდაც, ურნაში სროლა რომ ოლიმპიადაზე ერთ-ერთი სახეობა იყოს ოქროს მედალს ვერავინ შეგვეცილებოდა.

ერთადერთი ბუნება მოგვცა ღმერთმა, რომლითაც თავი შეგვიძლია მოვიწონოთ და იმასაც ისე ვანადგურებთ, რომ უკან არ ვიხედებით. მერე კი **“მტრებს”** ვიგონებთ, რომლებმაც გაგვინადგურეს ეს ლამაზი ადგილები, თორემ ჩვენ ამ ყველაფერში არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის.

მახსოვს ერთი პერიოდი თბილისის დასუფთავების სამსახური აჯარიმებდა მოქალაქეს, რომლებიც ძირს, თუნდაც სიგარეტის ნამწვს დააგდებდა. კარგი იქნება, რომ ასეთი აკრძალვები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოქმედებდეს, ჯარიმებიც შესაბამისი იყოს. მაგ: 1 თვის განმავლობაში იმ ტერიტორიის ყოველდღე დასუფთავება, რომელიც დააბინძურე. ოღონდ ჯარიმა მართლა უნდა აღსრულდეს და დარწმუნებული ვარ აღარავის გაუჩნდება სურვილი, რომ ლუდის ქილა ან ბავშვის გამოცვლილ პამპერსი ტყეში დააგდოს.

დაახლოებით ორი წელია არ ვყოფილვარ ბაზალეთის ტბაზე. ცოტა ხნის წინ უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა და გადავწყვიტე, იქ წამეყვანა. მთელი გზა ტვინი გავუბურღე, რომ ჩვენ ქართველები ასეთი მაგრები ვართ და ჩვენნაიარი არავინ დადის დედამიწაზე მეთქი, მაგრამ ავედით თუ არა ტბაზე, სულ უკან წავიღე ჩემი სიტყვები. ტბის გარშემო მინი-ნაგავსაყრელია და თუ ბაზალეთის ტბაში მართლა დგას ოქროს აკვანი, და თუ იქ მართლაც წევს ყმა, ნაგვის სუნი უსათუოდ დაახრჩობს, თუ ჯერ კიდევ ცოცხალია. შემრცხვა და უკანმოუხედავად წამოვედი. კიდევ კარგი სინდის-ნამუსიანი უცხოელი იყო და არაფერი მითხრა, თორემ რა პასუხი უნდა გამეცა მართლა არ ვიცი.

ადამიანმა კულტურა ბაშვობიდანვე უნდა ისწავლოს. ცოტა ხნის წინ ავტობუსში ავედით, ჩემს წინ მჯდომ 2 წლის ბავშვს რაღაც ქაღალდი ეჭირა, რომელიც აშკარად გადასაგდები იყო. ბებია ეუბნებოდა მომეცი შვილო გადავაგდებო, მაგრამ ბავშვმა უთხრა: დედიკომ მასწავლა, რომ ნაგავის ურნაში უნდა ჩავაგდოო. მერე მე ჩამოვედი და არ ვიცი ბებიამ გაიტანა თავისი თუ ბავშვმა, მაგრამ ამ სიტყვებმა პატარა იმედის ნაპერწკალი ნამდვილად გამიღვივა.

მალე **“დიდგორობა”** მოდის, რომელიც აგერ უკვე წლებია, როგორც წესი, **“დიდღორობით”** სრულდება ხოლმე, მაგრამ იქნებ წელს მაინც გამოჩნდეს ვინმე მადლიანი, რომელიც ამ ყველაფერს გააკონტროლებს და თავს არ მოგვჭრის წინაპრებთან.

ჰო, მართლა წინაპრებზე გამახსენდა, მერე რა რომ ვაჟას სახლ-მუზეუმის წინ ნაგავი დაყარეს, მთავარია, რომ ვაჟას სადღეგრძელო განსხვავებულით დაილია.

ᲚᲐᲓᲝ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

სათრეველები

ᲭᲙᲣᲘᲡᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲭᲙᲣᲘᲡᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ᲛᲐᲙᲙᲔᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲔᲕᲔᲚᲘ

მიხომ „ნაცებს“ „აკვლევინა“
და ბევრი მოაკვლევინა,
ამაყობდა „ცოცხებით“ და
სხვისთვის ჭუჭყის მოცხებითა;
მისთვის მაინც აკმევინა
საკმეველი მაკკეინმა.

ᲛᲔᲡᲘᲯᲔᲑᲘ

„ცოცხოსნებო“, გიცნობთ, ვინც ხართ,
მიხო ბიჭის ეჯიბები,
დამათხოვრობთ და გულს იფხანთ,
ერთმანეთს რომ ეჯიბრებით,
ხან „სახალხო პარტიის“, ხან
სენატორთა „მესიჯებით“...
მაინც მრჩება ერთი კითხვა:
– ავლიპს როდის ესინჯებით?

ᲐᲠᲐᲛᲙᲘᲗᲮᲔ ᲝᲗᲮᲔᲣᲚᲘ

მაკკეინო, ბენ კარდინო, ჯინ შაჰინო,
ჯიმ რიში,
რაკი იცავთ ექსპრეზიდენტს, ამ ნიშ-
ნით თუ იმ ნიშნით,
სათითაოდ შეგახსენებთ და
შეიგნოთ, იქნება,
მომავალი უწარსულოდ რომ არას-
დროს იქმნება!
რატომ გვინდა გასამართლდეს, ვის
სინდისზეც შავად ძევს,
რომ მოგვიკლეს რობაქიძე,
გირგვლიანი, შარაძე?
ვინც ეჩოსებრ მიითლიდა, სხვას
აგდებდა არც არად,
დაამშია საქართველო და ხალხის-
გან დაცალა!
შეგახსენებთ 7 ნოემბერს და 26
მაისსა,
იმედები რომ დახვრიტა, გლოვის
ხმა რომ გაისმა.
გაგახსენებთ, ვინ სად მოკლა, ვინ
აწამა „ცოცხებით“,
რა გზასა ვართ გამოვლილი, ვინც
გადავრჩით ცოცხლები.
თავს შუქურად გაჩვენებდათ,
დემოკრატულ შუქურად,
ინგლისურად მოტლიკინე ბიჭი
ბაქი-ბუქურა.
მან წაართვა პრესას ჭერი, მაგრამ
არვინ იძიებთ,
რად სწყალობდა „რუსთავ-2“-ს და
„ჯიბის ტელევიზიებს“,
რად გამართა ტაშფანდურა, რად
მიმართა აჯოს და
ისრაელის ექვსდღიან ომს
ერთი დღით რომ „აჯობა“,–
ვინც ცხინვალში აპირებდა
აღლუმსა და ღრეობას,
ღალატით რად ჩააბარა
მომხვდურთ დალის ხეობა.
ნუთუ აღარ გაღელვებთ და
უჩვეულოს ეჩვევით,
ლაფნაყურში შეტყუებით რომ
დახოცა ჩეჩნები?
არა, აღარ იმალება
და ბავშვებმაც იციან,
რითი იყო ამაზრზენი
მიხოს ინკვიზიცია...
მაკკეინო, ბენ კარდინო,
ჯინ შაჰინო, ჯიმ რიში,
რადგან მოგწონთ დიქტატორი, მიხო
როა, იმ ჯიშის,
ჩვენ არ გვსურს და, დაე, აწი
მხოლოდ მტერმა უყურა,
ჩვენებურად სისხლის მსმელს და
თქვენებურად – „შუქურას“!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ

ᲣᲬᲘᲑᲜᲣᲠ, ᲣᲖᲠᲓᲔᲚ ᲓᲘᲛᲐ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔᲡ, ᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲔᲑᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲑᲚᲔᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

უპატრონო ქვეყნის ბატონებო, არ ვიცი რა გიწოდოთ, როგორ მოგმართოთ, რა სიტყვები უნდა ვიხმარო რომ დირსეულად გიპასუხოთ. უწიგნურნო, ისტორიის, ცხოვრების უცოდინარნო, თქვენ რა იცით ვინ არის ქართველი, მეგრელი, კოლხი, აფხაზი, რუსი და ა.შ.

ეგრეთწოდებულმა დემოკრატიამ ანუ ქართულმა ანარქიამ ქუჩის ჭორიკანა ქალებს დაგამსგავსათ. რა უფლება აქვს ჟურნალისტს ყველაფერი დაროშოს, ქვეყნის, ხალხის საზიანოდ. ნუთუ არ გესმით, რომ **“ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების”**-ო. ამ ქვეყნად სამართალი რომ იყოს, თქვენ სისხლის სამართლის დამნაშავენი ხართ. თქვენი ბოდიში არაფერს არ ნიშნავს. ობოლაძისთვის ეს დაყრანტალება პირველი შემთხვევა არ გახლავთ!

ოჯახში გაზრდილ ახალგაზრდობას, ნებისმიერ მოხელეს უნდა ესმოდეს – სიტყვა ტყვიაზე უფრო ძლიერია. მახსენდება ალენ დალესის ნათქვამი: **„ყველაფერი რაც გაგვაჩნია, ოქრო, მატერიალური ძლერება, გადავისვრით ხალხის გამოთაყვანებაზე, უზრდელობა, თავხედობა, ცილისწამება, ნარკომანია, ცხოველური შიში, უსირცხვილობა, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა შეუმჩნევლად იქნება კულტივირებულიო, არჩევანს გავაკეთებთ ახალგაზრდობაზეო, გავხრწნით მათ და ჯაშუშებად ვაქცევთო”.** ნუთუ დალესის ოცნება დღეს სახეზეა და ალბათ, ბუნებრივია, დღევანდელი თაობა იმიტომ მიისწრაფვის დასავლეთისაკენ, იმიტომ არიან პრომამერიკელები, იმიტომ შეიძულეთ ასე ჩვენი ისტორიული ერთმორწმუნე რუსები.

ისტორიის აბსოლუტურად უცოდინარ ახალგაზრდებს მინდა შევახსენო: დიდი, ძლიერი, მდიდარი, ერთმორწმუნე რუსეთი იყო, არის და იქნება ჩვენი მფარველი. ნუ გავიწყდებათ, რომ პატარა ქრისტიანული საქართველო მუსულმანთა რკალშია მოქცეული – გროზნო, სტამბული... ნუ გავიწყდებათ, რომ დღეს რუსეთი ინახავს მილიონნახევარ ათასი ჯურის ქართველს. მათ მიერ გამოგზავნილი პატიოსანი შრომით თუ უპატიოსნო შრომით ნაშოვნი დოლარებით გვიდგია დღეს სული.

მე გახლავართ მონაწილე ტავრიის სასახლეში СНГ-ს შტაბ-ბინაზე ჩვენი ეროვნული დროშის აფრიალებისა. აი, იქიდან მისი უგუნური ჩამოხსნა სააკაშვილის ანტირუსულმა ისტერიამ განაპირობა, რამაც აიძულა პუტინი მიეღო რადიკალური ზომები. ის არ იყო ჩვენი მტერი, პირიქით მან თქვა: “Грузины самый красивый, самый талантливый народ. Для России ближе Грузинов ни по культуре, ни по вере никого нет”. ჩვენ კი მადლობის მაგივრად ვლანძღეთ და ვაგინეთ: “русские свиньи, вон из Грузии”. დავხურეთ რუსული სკოლები, ავკრძალეთ პუშკინის ენა, გავდევნეთ ტერიტორიიდან. რუსებმა კი მილიონიდან უსაბუთო ასი ქართველის ექსტრადაცია განახორციელა და ამის გამო სტრასბურგში ვუჩივლეთ. გთხოვთ, ნუ ვაიძულებთ მომავალში რუსებს გამოასახლონ მილიონი ქართველი – აფხაზეთიდან განდევნილი თუ საქართველოს სხვა კუთხეების შვილები. ნუ დაგავიწყდებათ, ერეკლემ იხსნა საქართველო გადაშენებისაგან.

ორასი წელი საქართველოში სისხლი არ დაღვრილა რუსების წყალობით, დღემდე მოვედით, ასე ერთმორწმუნე მეგობართან ერთად, თქვენ კი მათ უსინდისო ღორებს უწოდებთ. მოვითხოვთ, სანამ გვიან არ არის, შეწყვიტოთ ამერიკელების გულის მოსაგებად რუსების გინება. ნუთუ არ გინდათ გაიგოთ, რომ ჩვენ, ქართველები, ჩვენი წინაპრები ოდითგანვე ერთად ვებრძოდით საერთო მტერს და მომავალშიც ვიბრძოლებთ ერთად. თუ საქმემ მოითხოვა ერთად შევალთ ევროპაში, **“ნატო”**-ში... გთხოვთ, დაანებოთ თავი რუსების გინებას, თორემ ძვირი დაგვიჯდება. დღევანდელ მთავრობას ვთხოვ კონტროლზე აიყვანოს პროფაშისტური ტელეარხი, მაპატიეთ გლეხს, თუ ავდელდი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მე ღორის ხმა **“რუსთავი-2”**-იდან მესმის.

შვილო, ბიძინა მე თქვენი დიდი იმედი მქონდა. რაშია საქმე, რატომ არის **“ოცნება”** ასეთი ჭრელი, ბუნდოვანი. ჩვენ ორი კურდღელს ერთდროულად ვერ დავიჭერთ. ან აგრესორი ამერიკა, ან ჩვენი ისტორიული მეზობელი რუსეთი. ნაცისტებო, ფაშისტებო, კრემლი უკან არ დაიხევს, რუსებს თქვენ ვერ მოუგებთ. პროამერიკელებო, ნუ ეწევით ომის პროპაგანდას, ეს ხომ დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

ტელეარხი **“რუსთავი-2”** პატიოსანი მშრომელი ხალხის ნერვების ამშლელია თავის არაფრის მთქმელი რეკლამებით, ანტირუსული პროპაგანდით, არხი უნდა გადაკეთდეს.

ᲒᲕᲐᲜᲯᲘ ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ,
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ვინ წამოიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი

სამაჩაბლოში მიმდინარე კონფლიქტში რუსეთი ჩაერთო მხოლოდ მას შემდეგ, რაც იქ საომარი მოქმედებები (7 აგვისტოდან) დაიწყო, და მხოლოდ მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) და საქართველომ მხარი არ დაუჭირეს რუსეთის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.

ჩვენმა ხელისუფლებამ კატასტროფული შეცდომები დაუშვა, რომლის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორია შეამცირა, მოსახლეობა ლტოლვილად აქცია, ერი კი შეარცხვინა და ამაზე პასუხი არავის უგია.

1. თუ რუსეთმა წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები, საქართველომ და დასავლეთის ქვეყნებმა რატომ არ მოითხოვეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა და მასზე რუსეთის მხრიდან ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნის საკითხის დაყენება?

2. თუ რუსეთი თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას 7 აგვისტოს (ან უფრო ადრე), მაშინ რატომ არ გამოაცხადა პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა 7 ან 8 აგვისტოს (ან უფრო ადრე), ამას ხომ კონსტიტუციის 73-ე მუხლი მოითხოვს?

8 აგვისტოს 12 საათამდე სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს ხელს აძლევდათ და ამიტომაც დაადეს ვეტო რუსეთის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომლითაც ხელი შეუწყვეს რუსის ჯარის შემოყვანას და შემდგომში ქვეყნის დაშლას, ისევე, როგორც უკრაინის დაშლას 2014 წელს.

ამა წლის 7 აგვისტოს შესრულდა ექვსი წელი ცხინვალის რეგიონში მოჩვენებითი მშვიდობის დასრულებისა და ომის დაწყებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე არსებობს ეუთოს საგამოძიებო კომისიის დასკვნა, რომელშიც კონკრეტულად არის მითითებული, ვინ გახსნა ცეცხლი და ვინ დაიწყო საომარი მოქმედებები, აგრეთვე, საქართველოს საპარლამენტო დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაიას მიერ კულუარებში ნათქვამი, რომ „ამათ დაიწყეს ომი“ (არაერთხელ მომისმენია ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში), დღეს მრავალი პოლიტიკოსი და, რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები უარყოფენ, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში სროლა პირველმა დაიწყო ქართულმა მხარემ.

2008 წლის 7 აგვისტოს, 21:00 საათზე, ქობულეთიდან სტუმრად ჩამოვიდნენ მეუღლის ნათესავები და მომიყვნენ, რომ 05:00 საათზე გამოსულებმა თბილისში ძლივს ჩამოაღწიეს და რომ გორის შესასვლელთან მათი და სხვა მოქალაქეების ავტომობილები საპატრულო პოლიციამ გააჩერა, რადგან ქალაქში შესასვლელი ქუჩები გადატვირთული იყო ცხინვალისკენ მიმავალი სამხედრო ტექნიკითა და ჯარისკაცებით.

მე, როგორც ყოფილ სამხედროს (საბჭოთა ჯარში ვიმსახურე 31 წელი, ხოლო ქართულში – 5), ჯარის ასეთი დემონსტრაციული გადაადგილება ცხინვალისკენ (შენიღბვის გარეშე), ცუდად მენიშნა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ქვეყანაში არ იყო გამოცხადებული არც საგანგებო და არც საომარი მდგომარეობა.

მაშინვე გამახსენდა: ხელისუფლების წარმომადგენლების თავდაჯერებული და მუქარის შემცველი ტონით გაკეთებული განცხადებები კოკოითის მისამართით; ცნობები იმის თაობაზე, რომ ცხინვალიდან ოსებს გაჰყავთ ქალები და ბავშვები; აგრეთვე, „ნაცმოძრაობის“ ლიდერების გამონათქვამები, რომ სამაჩაბლოს ბედი უკვე გადაწყვეტილია და „ამაში ხელს ვერავინ შეგვიშლის“... გავიფიქრე, ნუთუ ისევ ჩაიდენდნენ სისულელეს, როგორც ეს მოხდა 1992-1993, 1998, 2004 წლებში, ნუთუ ისევ ომს წამოიწყებენ-მეთქი?

ასეა თუ ისე, ქართულმა ჯარმა თავი მოიყარა ცხინვალის რეგიონში, რასაც **საქართველოს მთავრობამ** ასეთი განმარტება მისცა 2008 წლის 7 აგვისტოს დამით:

„სამხრეთ ოსეთის რეგიონში მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შეიარაღებული თავდასხმების აღსაკვეთად საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მიეღო ადეკვატური ზომები“;

ჯარის შეყვანის მიზანი განმარტა **თემურ იაკობაშვილმა**:

„საქართველოს მიზანია, არა დაიპყროს აუღიარებელი რესპუბლიკა, არამედ ბოლო მოუღოს „კრიმინალურ რეჟიმს“;

ამოცანა ახსნა გენერალმა **მამუკა ყურაშვილმა**:

„დაიწყო კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“.

ანუ, 2008 წლის 7 აგვისტოს, გვიან დამით, ცეცხლი უკვე გაიხსნა და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართული და ოსური მხარეები და არა რუსეთის მხარე, ამას ადასტურებს სამივე ეს განცხადება.

გამოდის, რომ **რუსულ მხარეს, ე. წ. სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებები არ დაუწყია, და რომ ქართულმა მხარემ პირველმა წამოიწყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და არა რუსეთმა – სამაჩაბლოს ოკუპაცია.**

2008 წლის 7 აგვისტოს, გვიან ღამით, ცხინვალის რეგიონში ცეცხლი გაიხსნა და ომიც დაიწყო. რუსეთის წარმომადგენელმა გაეროს უშიშროების საბჭოში ვიტალი ჩურკინმა (და არა ქართულმა ან სხვა წარმომადგენელმა) მყისვე მოითხოვა უშიშროების საბჭოს მოწვევა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე, რაზეც დასავლეთის კოლეგებისგან დაუსაბუთებელი უარი მიიღო.

ამ ქმედებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ორგანოს წარმომადგენლებმა, რომლებზეც წესდებით დაკისრებულია პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე, და რომლებსაც მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, უარი თქვეს შექმნილი სიტუაციის განხილვაზე, ე. ი. ცეცხლის შეწყვეტაზე.

რა, მათ არ დაიჯერეს, რომ ომი დაწყებულია? – გამორიცხულია!

ამ რაოდენობის სამხედრო ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გადაადგილება ცხინვალის მიმართულებით (დღისით, მზისით) უცხო ქვეყნების სადაზვერო სამსახურებს არავითარ შემთხვევაში არ გამოეპარებოდათ, ელექტრონულ ან კოსმოსურ დაზვერვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

25 წელზე მეტი ვიმსახურე რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გერუ) სისტემაში და ვიცი, რომ, პრაქტიკულად, თითქმის ყველა ქვეყანაში, საელჩოების ჭერქვეშ მუშაობენ მზვერავები და რომ ისინი სადაზვერვო ინფორმაციას მოიპოვებენ არა მხოლოდ მათდამი მტრულად განწყობილ ან არაკეთილმოსურნე ქვეყნებზე, არამედ მეგობრულ და სტრატეგიულ პარტნიორებზეც. ამიტომ არც საქართველო იქნებოდა მათთვის გამონაკლისი. **ჰეიდი ტალიავინის მოხსენებაშიც ხომ არის აღნიშნული, რომ იმხანად ქართულ ჯარში ასობით უცხოელი ინსტრუქტორი იმყოფებოდა.** მათ ხომ არაფერი არ გამოეპარებოდათ?

ბოლოს და ბოლოს, უშიშროების საბჭოს სხვა წევრებს იმის დადგენა, რა ხდებოდა სინამდვილეში სამაჩაბლოში, ჩვენი წარმომადგენლის, ირაკლი ალასანიასგან ან აშშ-ში საქართველოს ელჩისგან ხომ მაინც შეეძლოთ?

მოგვიანებით (ჩვენი დროით – 8 აგვისტოს დილით), ისევ ვიტალი ჩურკინის დაჟინებული მოთხოვნით, მაინც გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც მან კვლავ დასვა საკითხი ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე.

და **რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ,**

დასავლეთის ქვეყნების უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან ერთად, მხარი არ დაუჭირა საქართველოს წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამაც.

ვსვამ შეკითხვებს:

1. თუ რუსეთმა წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები, საქართველომ და დასავლეთის ქვეყნებმა რატომ არ მოითხოვეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა და მასზე რუსეთის მხრიდან ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნის საკითხის დაყენება?

2. თუ რუსეთი თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას 7 აგვისტოს (ან უფრო ადრე), მაშინ რატომ არ გამოაცხადა პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა 7 ან 8 აგვისტოს (ან უფრო ადრე)? ამას ხომ კონსტიტუციის 73-ე მუხლი მოითხოვს.

ე. ი. რა გამოდის? სამაჩაბლოში ომია და მის გაგრძელებას მხარს უჭერს საქართველოს მთავრობა?

ცეცხლის შეწყვეტის წინადადებას ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა და სხვებმა იმიტომ ხომ არ დაუჭირეს მხარი, რომ იმ დროისთვის:

*„ცხინვალის სამხრეთით სოფლების უმრავლესობას საქართველოს მხარე აკონტროლებს“?

*„ჯავის რაიონისთვის ალყის შემორტყმის ოპერაცია დასრულებულია“?

*„როკის გვირაბიდან შემოსვლა ვერ მოახერხეს“?

* „კოკოითიმ ცხინვალი დატოვა და ჩრდილოეთ ოსეთში ჩავიდა“?

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ – 9 აგვისტო.

ე. ი. 8 აგვისტოს 12 საათამდე სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს ხელს აძლევდათ და ამიტომაც დაადეს ვეტო რუსეთის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომლითაც ხელი შეუწყვეს რუსის ჯარის შემოყვანას და შემდგომში ქვეყნის დაშლას, ისევე, როგორც უკრაინის დაშლას 2014 წელს (რა ეჩქარებოდათ? თუ დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერდა მის ევროინტეგრაციას და შემდგომში ნატოში გაწევრებას, დაეცადათ 2015 წლამდე და საპრეზიდენტო არჩევნებზე გადაწყდებოდა ეს საკითხი მშვიდობიანად, სისხლისღვრისა და ტერიტორიული დანაკარგების გარეშე, მაგრამ დარწმუნებული არ იყვნენ).

და რადგანაც ცხინვალის რეგიონში ცეცხლი არ შეწყდა, 1992 წლის სოჭის შეთანხმებისა და 1996 წლის მემორანდუმის თანახმად, რუსეთმა წამოიწყო ოპერაცია „იძულება მშვიდობისათვის“:

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია

თანაუგრძნობს ბატონ სოსო ლაგვილავას სიმამრის

ვალერიან (ვალიკო) ჩაჩიბაიას

გარდაცვალების გამო

ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲒᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲖᲔ?

(გაგრძელება მე-6 გვერდიდან)

„გუშინ, თორმეტი საათისთვის, ცხინვალის გარშემო მდებარე სოფლებს, რომელთაც უკვე ქართული მხარე აკონტროლებდა, რუსეთის ავიაცია ინტენსიურად ბომბავდა“;

„გუშინ, დაახლოებით 12 საათზე, რფ-ის 58 არმიის მსხვილმა დანაყოფმა როკის გვირაბის გავლით ჯავის რაიონის მიმართულებით გადაადგილება სცადა“;

„საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია“.

მ. საკაშვილი.
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
9 აგვისტო.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **სამაჩაბლოში მიმდინარე კონფლიქტში რუსეთი ჩაერთო მხოლოდ მას შემდეგ, რაც იქ უკვე დაწყებული იყო საომარი მოქმედებები (7 აგვისტოდან) და მხოლოდ მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა (აშშ, ინგლის, საფრანგეთი) და საქართველომ მხარი არ დაუჭირეს რუსეთის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.**

და თუ კიდევ ვინმეს ეპარება ეჭვი იმაში, ვინ წამოიწყო ომი, შევახსენებ პრეზიდენტ **ჯორჯ ბუში** უმცროსის ნათქვამს:

„მე გამოვთქვი სერიოზული შეშფოთება არაპროპორციული პასუხის გამო და ვთქვი, რომ ჩვენ ვგმობთ სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ დაბომბვას...“

ხომ სავსებით გასაგებია ამ წინადადების შინაარსი, მაგრამ ზოგიერთს მაინც უნდა ავუხსნა:

აშშ-ის პრეზიდენტი თვლის, რომ დასასჯელები (პასუხგასაცემი) კი ვიყავით, მაგრამ პროპორციულად (ალბათ, გულისხმობდა სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ), ე. ი. მათრახის მაგივრად ჩვენზე ჯოხი არ უნდა გადაემტვრიათ, და რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩვენი სამხედრო ნაწილების დაბომბვას არ აპროტესტებს.

მეორე საკითხი ეხება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შესაძლებლობის პრობლემას.

დავიწყოთ იქიდან, რომ ცხინვალის რეგიონში ცეცხლი გახსნილია და კონფლიქტი დაწყებულია:

*** პირველი შესაძლებლობა, როდესაც შეგვეძლო რუსის ჯარის შემოსვლა თავიდან აგვეცილებინა, იყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე;**

*** მეორე შესაძლებლობა კი მოითხოვდა ქვეყნის ხელმძღვანელობის მთელი შემადგენლობით გადადგომას და რიტორიკის შეცვლას ნეიტრალიტეტის სასარგებლოდ.**

***მესამე შესაძლებლობა – ეს იყო ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას წინადადების მიღება.**

ქვეყნის ხელმძღვანელობამ ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად არც ერთი შესაძლებლობა არ გამოიყენა, პირიქით დამარცხება იზეიმა კიდეც, სინანულის გარეშე.

მე კარგად მესმის ბევრი ქართველი პატრიოტის აღშფოთება იმის თაობაზე, რატომ ერევა რუსეთი ჩვენს საქმეებში და რატომ არ გვაძლევს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საშუალებას. თვითონ ხომ ორჯერ წამოიწყო ომი ჩეჩნეთში და ნებართვა არავისგან აუღია?

მაგრამ რა ვქნათ? რუსეთი დიდი და ბირთვული ქვეყანაა, ანგარიშგასაწევი სახელმწიფო. დადებული ხელშეკრულებითა და მემორანდუმით ჩვენ თვითონ მივეცით რუსეთს უფლება, რეგიონებში მოაგვაროს კონფლიქტი.

მხოლოდ ჩვენ კი არა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერ მოახერხა **ჩინეთმა.** როდესაც მან ამის გაკეთება სცადა გასული საუკუნის 90-იან წლებში, აშშ-მა ტაივანის სრუტეში თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩააყენა და არ მისცა ჩინეთს უფლება, კუნძულზე დესანტი გადაეხსნა.

ჩინეთის ხელმძღვანელობამ გონიერება გამოიჩინა და ტაივანის შემოერთებისგან თავი შეიკავა.

ჩვენ?

მესამე საკითხი, რომელიც მინდა, თქვენთან ერთად განვიხილო, შეეხება იმ ქვეყნების ისტორიას, რომელთა თანამდებობის პირების გულგრილობისა თუ დაუდევრობის ან დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად შეილახა ქვეყნის ავტორიტეტი; როგორ იქცეოდნენ ასეთ შემთხვევებში თავმოყვარე ქვეყნების თავმოყვარე თანამდებობის პირები და როგორ დასაჯეს ავანტიურისტები?

დავიწყოთ ***1973 წლის*** **ომით არაბეთის ქვეყნებსა (ეგვიპტე, სირია და სხვები) და ისრაელს შორის.**

იმის გამო, რომ ეგვიპტის ჯარმა ისრაელისთვის მოულოდნელად გადალახა სუეცის არხი და მოკლე დროით კონტროლი დაამყარა სინაის ნახევარკუნძულის ნაწილზე (თუმცა შემდგომში ისრაელმა სწრაფად გამოასწორა მდგომარეობა), თავმოყვარე ისრაელის მთავრობა გადადგა, ხოლო ქვეყნის უსაფრთხოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელი თანამდებობების პირები გაასამართლეს ან ჯარიდან დაითხოვეს.

ცეცხლი შეწყდა გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნით და მხარეები დაუბრუნდნენ ადრინდელ პოზიციებს.

1974 წელს **საბერძნეთის მმართველმა სამხედრო ხუნტამ, ე. წ. შავმა პოლკოვნიკებმა, კვიპროსზე მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება**, რომლის საპასუხოდაც თურქეთმა კუნძულზე შეიყვანა თავისი მე-11 საარმიო კორპუსი და კუნძულის ტერიტორიის 40% დაიცვა, არადა, თურქები კუნძულის მოსახლეობის 18%-ს შეადგენდნენ. თურქეთმა იქ შექმნა კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, რომელიც დღემდე ასე იწოდება. მას მხოლოდ თურქეთი და აზერბაიჯანი ცნობენ.

„შავი პოლკოვნიკები“ დააპატიმრეს და გაასამართლეს. ქვეყანაში აღდგა დემოკრატიული მმართველობა.

1982 წელს არგენტინის სამხედრო ხუნტამ დესანტი გადასხა ინგლისთან სადავო ტერიტორიაზე – ფოლკლენდის კუნძულებზე და ის თავის ტერიტორიად გამოაცხადა (ეს კუნძულები დიდმა ბრიტანეთმა არგენტინას 1833 წელს წაართვა).

საპასუხოდ ინგლისმა გაგზავნა შესაბამისი ძალები კუნძულებისაკენ, დაამარცხა არგენტინის ჯარი და ტერიტორია დაიბრუნა.

არგენტინის სამხედრო ხუნტა, პრეზიდენტ გალტიერის ჩათვლით, დააპატიმრეს და გაასამართლეს.

ქვეყანაში აღდგა დემოკრატიული მმართველობა.

1987 წელს გერმანელმა მოყვარულმა პილოტმა **მათიას რუსტმა** თავისი სპორტული თვითმფრინავი მოსკოვში, წითელ მოედანზე დასვა.

იმის გამო, რომ თავდაცვის სამინისტრომ დროულად არ მიიღო შესაბამისი ზომები საზღვრის დამრღვევის მიმართ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი ს. სოკოლოვი და გენერალური შტაბის უფროსი ნ. ოგორკოვი გადადგნენ, ხოლო უშუალო პასუხისმგებელი თანამდებობების პირები კი დააქვეითეს ან ჯარიდან დაითხოვეს.

ასე იქცევიან ის ადამიანები, რომლებსაც სინდისი აქვთ, სამშობლოსა და ხალხს პატივს სცემენ, და ის ქვეყნები, რომლებშიც კანონი კანონობს.

საქართველოში კი?

ჩვენმა ხელისუფლებამ კატასტროფული შეცდომები დაუშვა, რომელთა შედეგადაც ქვეყნის ტერიტორია შეამცირა, მოსახლეობა ლტოლვილად აქცია, ერი კი შეარცხვინა და ამაზე პასუხი არავის უგია.

ერთი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ყველა დანაშაული შერჩა. მისი დანაშაულებრივი ქმედებები „მემკვიდრემაც“ გაიმეორა, და, როგორც ჩანს, მასაც შეიძლება შერჩეს.

ერთს „მსოფლიო დონის პოლიტიკოსი“ უწოდეს, მეორეს – „დემოკრატიის შუქურა“, მესამეს?

და რისთვის?

„მსოფლიო დონის პოლიტიკოსმა“ ჩაბარებულ ქვეყანას უღალატა და დაშალა. შემდეგ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი დაამხობინა, ხალხი ქუჩაში ჩახოცა, საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა და საქართველოს დაშლაც წამოიწყო, რომელიც **„დემოკრატიის შუქურამ“** დააგვირგვინა; სამაგიეროდ, ერთმა ნატოს კარზე მიაკაკუნა, მეორემ – მიაბრახუნა, მაგრამ კარი მაინც არ გაუღეს, და ვერცა ხვდებიან, რატომ.

ეს არის და ეს მათი **„დამსახურება“.**

და თუ ასეთი ქმედებები ვიღაცებს დამსახურებად მიაჩნიათ, **მაშინ რა უნდა დავარქვათ ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მოქმედებას ე. წ. გე-კა-ჩე-პეს პერიოდში?! იმხანად ხომ პირველმა პრეზიდენტმა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე იმუშავა გე-კა-ჩე-პეს მთავარ წარმომადგენელთან საქართველოში და ღირსეულად დაიცვა ქვეყნის ინტერესები – თავმოყვარეობის შელახვის გარეშე და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით.**

იმიტომ ხომ არ ეწინააღმდეგებიან მთავრობები მისთვის ღირსეული ადგილის მიჩენას და მისი ღვაწლის შესაბამის დაფასებას ერისა და ქვეყნის წინაშე, რომ ის იყო აქტიური ნეიტრალიტეტის მომხრე?

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘ,
თადარიგის პოლკოვნიკი

უფლისა და საკუთარი კუთხისადმი თაყვანისცემის მოტივები გენო კალანდიას ლირიკაში

ნიჭიერმა ლირიკოსმა გენო კალანდიამ მკითხველი მიაჩვია კლასიკურ დონეზე შესრულებული ტრიოლეტების, მწუხრის არაბესკების, გრაალსა და კარიატილების, სამიჯნურო და სადამო ხანის სონეტების კითხვას, რომელთაც ფორთოხლის გემო და საამო სურნელი ამკობს.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ჩვენ შეგვაჩვიეს აზრს, რომ წმინდანები მოღვაწეობდნენ ადრეულ საუკუნეებში და არიან გარდასულ დროთა კუთვნილებანი. უღმერთოებისა და უფლის გმობის ხანაში, უზენაესი შემოქმედისადმი მოწიწება ისეთივეა გ. კალანდიას შემოქმედებაში, როგორც ფარვანას სწრაფვა სინათლისაკენ. პოეტის ლირიკაში ნათლად იგრძნობა ბიბლიის იდეებისა და ათი მცნების შესისხლხორცება. არა მისტიკური აღქმა შეუცნობი სამყაროსი, არამედ კარგად გააზრებული მხატვრული გარდასახვით, პოეტური სტრიქონების ინტონაციური ჟღერადობით. გვარწმუნებს, რომ მზად არის სიცოცხლე გასწიროს ქრისტიანული რწმენისთვის. ამის საილუსტრაციოდ კმარა ერთტომეულში შეტანილი რიგით მეორე ლექსი **„ღვთისმშობლისადმი“.**

„ღვთისმშობელო და წმინდანო, – დამბადებელო უფლის, შენს თვალმარგალიტს გახედე შენი კეთილი გულით, მე შენი მონა-მორჩილი, – მზად ვარ, ახლავე მოვკვდე, ოღონდ ეგ წმინდა ტაძარი ოქროს სხივებით მორთე. ეგ წმინდა ტაძარი “სამშობლოა”, რომლის ოქროს სხივებით მორთვას პოეტი უფლის მშობელს სთხოვს. ღმერთისა და წმინდა სალოცავებისადმი თაყვანისცემა პოეტისა, ბუნებრივი და სულიერი ამაღლების ელექსირია, ამაზე მეტყველებს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული „საგალობლები უფლისათვის“. მიმაჩნია, რომ ეს ქმნილება არის შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის კლასიკური ნაღვაწი, სადაც სულის სისადავით, მოწიწებითა და შინაგანი განცდით გადმოცემულია წრფელი აღტაცება მისი უდიდებულესობა მაცხოვრისადმი. უზენაესის იდეებისადმი კრეაციონიზმი. გამჟღავნებულია ავტორის მსოფლმხედველობითი ორიენტაცია.

„უფალო, მთელი წელია ვცდილობ, როგორ გაგითბო ლოცვებით გული,

თვით ნათელქმნილო, ძეო და ძირო, თავად ცხოვრება, ყოფაა ძნელი“.

სხვაგვარად ვერც წარმომედგინა, იმ კუთხის შვილის ფიქრები ნათელი არ იყოს რწმენითა და სავსე „ლოცვებით გული“, სადაც ხობის **„ღვთისმშობლის მიძინების“** მონასტერში საუკუნეები დავანებული იყო და დღეს ზუგდიდის მუზეუმშია, კვართი ღვთისმშობლისა, წმინდა მარინეს მკლავი, წმინდა კვირიკეს ხელი, იოანე ნათლისცემის ძვლის ნაწილები, წმინდა გიორგის ძვალი, თბილისშია გადატანილი თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, სენაკის დედათა მონასტერშია დასვენებული წმინდა იოანეს ცერა თითის ნაწილი, მარტვილის მონასტერი ჭეშმარიტად ითვლება რწმენისა და განათლების სავანედ...

სამყაროს ეს უდიდესი განძნი, რომლებიც ორასწლიან ისტორიას ითვლიან, ვრცელი და სახიფათო მოგზაურობის შემდგომ, სამუდამო ადგილი საქართველოში ჰპოვეს. მათ ჩვენამდე მოიტანეს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი დედის, წმინდა მარიამისა და სხვათა ყოფის მნიშვნელოვანი დეტალები, რითაც მათი წარსული მოკვდავთათვის გახდა ხელშესახები.

წმინდა ნაწილების ციური გამონათებას, მათ მადლსა და მფარველობის განუზომლობას შეუძლებელია ასახვა არ ჰქონოდა გენო კალანდიას სულიერ ლაბირინთში.

„უფალო, გულით მოგენდო იგი, აქ ჰპოვა შენი ღვთიური სახე,

აქ პოვა მძიმე ჯვარი და წიგნი, სამსჯავრო, კვართი და მთელი სახლი.“

ერთხელ გრიგოლ რობაქიძეს მეზობელმა ჰკითხა **„ღმერთი სადააო?“.** გრიგოლმა მიუგო: **„ჩემო მეგობარო ვინც ღმერთს ეძებს, იმისთვის ღმერთი არ არსებობს, ღმერთი უნდა გწამდესო“.** გენო კალანდიას რწმენა უფლისადმი ჭეშმარიტია, რადგან ღმერთი რწმენაა, უფალი ხატებაა, რომლისთვის უნდა ილოცო.

რადგან სული უკვდავია და ღმერთი სულის მადლს გვიწილადებს, პოეტი თავს უხრის შემოქმედთა მფარველს. უზენაესი, ხომ გაცილებით დიდ მნიშვნელობას ჩვენს სულიერ განწყობასა და სწრაფვას ანიჭებს, რათა სათნოებაში ვიღვაწოთ და სურვილების მეშვეობით უფრო და უფრო დიდ საქმეებს შევეჭიდოთ. ლირიკოსმა იცის ყოველგვარ სტიქიურ, კოსმიურ და მატერიალურ ძალისხმევას უფლის მადლი და ლოცვა ჯაბნის.

„უფალო ძილად შემდგარი ლოცვა, არის ეს სტროფი – მალამო გულთა,

უმანკო, როგორც ქალწულის კოცნა, ანკარა, როგორც ლაჟვარდი სუფთა“.

თუმცა პოეტი სავსებით დარწმუნებულია, მხოლოდ მან კი არა მიანდო წრფელი სული და ანთებული გული უზენაესს, იგი ნიკალასავით იქცევა. რომელიც **„ალისფერ აღმართს შეუდგა, ღვინითა და ვარდებით“,** დიდ აკაკის ბაძავს, რომელიც **“გზას გაჰყურებდა გოლგოთას სადარს, ცრემლი უწვავდა სახეს და თვალებს”.** ამიტომ მრევლის სახელით ფიცს დებს პოეტი.

„აღდგომის მზე ხარ, მთვარე ხარ ჩვენი, გვიყვარხარ, მთელი არსებით გეტრფით“.

მაგრამ ყველაზე სანუკვარი, ბედნიერ სამშობლოზე ოცნებაა. უფალი და სამშობლო, ეს განუყოფელი მცნებებია რომლის გარეშე ერთი დღე არ უცხოვრია პოეტს. ამიტომ ხმამაღლა ჰდაღადებს:

„უსიყვარულოდ, უთქვენოდ ყოფნას, სიკვდილი მიჯობს, მამულის მთებო“.

მოუშუშებია მისი ტკივილი აფხაზეთის მიმართ. იქ გაიფურჩქნა მისი სიცოცხლის მეტიწილი **„ქრიზანთემა“,** იქაა მისი გულის ხვითო და ახლობელთა ცრემლით მოურწყევი საფლავები. იქაა მისი სულიერ განცდების კარიბჭე და ობლად მოხეტიალე გრძნობების ნავსაყუდელი. შეუძლებელია ამას არ დარდობდეს და არ განიცდიდეს პოეტი. ამიტომ ცრემლიანი, დარდისა და ჯავრის შემსუბუქებას შესთხოვს უფალს.

„უფალო, ჩემი სწორფერი მოკვდა – ზღვას და მდინარეს შეზრდილი მამრი,

პირთამდე სავსე გაუტყდა კოკა, გაუსკდა გული დარდით და ჯავრით“.

ჭეშმარიტ მცნებათა და ღირებულებათა აღრევის მრავალსახა საუკუნეში, უფრო და უფრო ძნელდება ორიენტაციის პოვნა-შენარჩუნება. საკუთარ თავში ჩაღრმავება, ვნებათა დაოკება და მათი კონტროლი. ასეთ დროს ადამიანს საკუთარი თავი უნდა უყვარდეს, ემადლიერებოდეს, მაგრამ ეს შეუძლებელია უფლისადმი მოწიწებისა და მორჩილების გარეშე. მადლისმიერი ცხოვრება გულისხმობს, უფლის მცნებებით სულის საზრდოობას და ცოდვების მონანიებას.

„უფალო, ვფიქრობ, ვფიქრობ და ვფიქრობ, ვით შემოგწირო ცოდვილი თავი“.

უფლისკენ მიმავალი გზა სიკეთეა. ღმერთი ყველა სიკეთის საწყისია, იგი არსებობს ჩვენში და ჩვენ ვარსებობთ უფლით. ამიტომ მივისწრაფვით მისკენ. სწრაფვა შეიძლება შევადაროთ მცენარეს, რომელიც სადაც არ უნდა იდგეს, ყოველთვის მზისკენ იმზირება. ქრისტიანს, მუსულმანს, ბუდისტს თუ იუდეველს ერთი ღმერთი ყავს, მათ სხვადასხვა სახელი ჰქვია. ადამიანები მათი სულის მატარებლებია. სულს არ ძალუძს თავისთავადი სიცოცხლე, იგი უკავშირდება უფალს. რადგან ადამიანს გამორჩეულად ცენტრალური ადგილი უჭირავს სამყაროში. ის არის ყველა ქმნილებაზე ღვთაებრივი ნების აღმსრულებელი და მის წინარე უძლურია ყოველივე. მათ შორის სიკვდილი მისი განჩინებაა. სწორედ სიკვდილის გარდუვალობა უხსნის ადამიანს გზას სინანულისკენ. ეს ღვთიური ვალდებულება კარგად ესმის გენო კალანდიას, ამიტომ აცხადებს.

„ყოფნა-არყოფნა ზუზუნებს ქარი, აგერ ჩემს გვერდით, აგერ ჩემს ახლოს,

ღმერთო გამიღე ის დიდი კარი, რომ იქ ნამდვილი კაცები ვნახო”.

როგორც მშვილდი არ ვარგა ისრის გარეშე და ისარი მშვილდის გარეშე, ასევე ურწმუნო ადამიანი ფიტულია სამყაროში. უზენაესისადმი რწმენა ჯავშანია, სულიერი ძალაა. გენო კალანდიას **„საგალობლები უფლისათვის“** ანთებული სანთელია ღმერთის სადიდებლად. დარწმუნებული ვარ **„საგალობელი“** მრავალმხრივ და უფრო ვრცლად განიხილება მომავალში.

გენო კალანდიას შემოქმედება მრავალფეროვანია. ცხოვრების რომანტიკა, მომავლის რწმენა და ჰეროიკული შემართება, არაჩვეულებრივის დანახვის უშრეტი ენერგია, ინტიმური მოტივები. ამ თემებთან ერთად იგრძნობა საკუთარი **„ოდაბადეადმი“** განუზომელი თაყვანისცემა, ფხიზელი თვალი და ძალუმი სუნთქვა. ამ ტიპის ლექსებში გამოსჭვივის პოეტის ნიჭიერება და ინდივიდუალურობა. ხედვისა და ინტუიციის ერთიანობა.

სამშობლო ჩვენი ღობე-შუკიდან იწყება. ყველას საკუთარი სამოთხე აქვს. გენო კალანდიას სამოთხე კოლხეთი და მისი ბაჯაღლო, სამეგრელოა. ძირძველი და უბრწყინვალესი მხარე საქართველოსი. როცა საკუთარი მხარე გიყვარს, მასთან ერთად მისი ყოველი კუთხე გიყვარს, რასაც სამშობლო ქვია.

სამეგრელო ფესვია მისთვის, რომელსაც ეყრდნობა და ამიტომ, გულის ძირამდე ეთაყვანება მას. ელოლიავება დაკორძებულ ფესვებზე ამონაყარ მშობლიურ ტაძარს, რომელიც წინაპართა ეროვნულ ორნამენტში ოსტატურადაა ჩადუღაბებული. რომლისთვის სიცოცხლე არ ეშურება. ათობით პოეტური ქმნილება მიუძღვნა ავტორმა საოცნებო მხარეს.

„სისხლივით ამიჯანყდება, სამეგრელოზე ფიქრი,

მაცხოვრის დაბადებიდან გადაუშლელო წიგნო,

ვაზივით გულდასეტყვილო, ჯვარზე გაკრულო ნებით,

ხვალ შშობლით შეგეხიდები, ზედ საკუთარი ძვლებით“.

საკუთარ უფაქიზეს, უნაზეს დამოკიდებულებას სამეგრელოსადმი, პოეტი ლირიკული ინტონაციების სიმრავლით გამოხატავს, რომელსაც მეტაფორული მრავალფეროვნება და ბუნებრივი სისადავე ავსებს. აქ არ არის ძალდატანებითი არაფერი, გულიდან თავისთავად ამოიფრქვევა სულში გაღვივებული სითფო, მადლიერება და ტრფობა ულევი. ყოველივე კარგად იგრძნობა ლექსში **„მამა“.**

წინაპრები და მისი საოცნებო სახლკარი ერთია. ის გახლავთ ყმაწვილკაცური ფიქრების, განცდის და განუმეორებელი ოცნების სავანე.

„ო, მამაჩემო, გაშალე ფრთები, შე ხარის გულო, აიღე ჭიქა,

მე გიმკურნალებ ფაზისის შუქით, მე აქაური წვიმები მიყვარს“.

გენო კალანდიას სავსებით სამართლიანად მიაჩნია, რომ საკუთარი მხარე იდუმალი და ამოუცნობია. რაც მხოლოდ განცდებში გვეძლევა. რაც უჩინარია და გულის თვალით აღიქმება, ის სანატრელი და სამოთხის დარია. აქაურ ჰავას შეუძლია წამლობა, რომ აქაური მიწის სურნელი კურნავს.

„მე აქაური მიწამლებს ჰავა, მე აქაური მერგება დაღი,

აქ ცხოვრობს სამი პოეტია მამა, აქ არის ჩემი სამოთხის ბაღი“.

პოეტს მარად ახსოვს მჭადზე შემოხვეული პრასი და კერიის ნაკვერჩხლებიდან ადენილი ბოლი. ვერაფერი დაავიწყებს მას, მამა თუ როგორ **„ეკიდა გუთანს“, „როგორ ნატრობდა წვიმას“** , დედას-მის **„ვარდის უბეს“...** ჭალაში ისლის ველს, ყიჟინს წეროებისას და რძესავით ადღვეფილ ნისლს...

„და ყანის პირზე მთვლემარე ბავშვებს, მწვანე აბრეშუმის გვეფარა თუთა“.

გენო კალანდია, ცხოვრებასა და პოეზიაში წარმატებას უმადლის იმ კუთხეს, რომელმაც გზა დაულოცა ჭინკებისა და ოჩოკოჩების ზღაპრებით, უთვალავი მითებითა და დაუვიწყარი ლეგენდებით. რომ მისი თვითმყოფადი გენია ნასაზრდოებია **„ეგრისის“** უძლეველობით, ენგურისა და ტეხურის სიკამკამით, რუხის ციხის სიმედგრითა და მარტვილის ტაძრის სიწმინდით.

ლექსებში **„კოლხეთი: შეხვედრა წარსულთან“, „ბედი“, „მოგონება“ , „დედა სამ დროში“, „ილია ჭავჭავაძე”, “ფიქრები სამეგრელოზე“** და სხვა ამის დასტურია. რას ნატრობს პოეტი? რაა მის საბოლოო სურვილი?

„მოვკვდები და მამაჩემის გვერდით, მიმაბარეთ სამეგრელოს მიწას“.

ამ სტროფში გაცხადებულია მარადიული უკვდავების მცნება, რომ არ არსებობს მშობლიური მიწაზე უფრო თბილი და საოცნებო. არა მთაწმინდის სავანე, არამედ რიგითი სასუფეველი მამის გვერდით, რომელმაც გააჩინა, გაგზარდა, სადაც მისი სიჭაბუკე ულაყზე ამხედრებული დაჭროდა.

განსაკუთრებული პოეტური ჟინითაა შექმნილი **„კოლხური ეპითალამები“.** ავტორმა იცის წარსული გულის თვალით აღიქმება, წარსული შეგრძნებაა, შენი წინაპრების ნაფერებ-ნალოლიავებია. პოეტი ავლენს ცხოველ განცდას წარსულისადმი. **„მედეას დიალოგი ძიძასთან“, „ჩარირამა ჩემი ლექსი“, „ელეგია“, „ლაზური ლექსები“** და სხვა, იავნანასავით ჟღერს და გვანცვიფრებს პოეტური გამომსახველობით. თითქოს აღსარებაა, თითქოს ღაღადია ყველაზე დიდი სიყვარულისა. ნიშანდობლივია, რომ გენო კალანდია ხშირი სტუმარია მშობლიური კუთხისა, მისი ჭირისა და ლხინის ალალი გამზიარებელია.

„მე საქართველოს ვასრულებ სოლოს, და სამეგრელოს სურათებს ვხატავ“.

აცხადებს პოეტი. მან იცის ყველა კუთხე ერთად შეკრული ქვეყანაა, რომელსაც საქართველო ქვია. საქართველო კი მისი სათაყვანებელია

„წავალ დავდგები ფაზისის ხიდზე, რომ ჩემი სისხლი წვეთ-წვეთად მოგცე,

მომეცი ნება, მიყვარდე ისე, როგორც უყვარდი, მამულო ცოტნეს“.

ცოტნეს გმირობის მოხმობით, გ. კალანდია გვარწმუნებს, მისებრ მზადაა სამშობლოსათვის ყველაფერი გაიღოს.

მარჯვენა დაგელოცოთ პოეტო, კიდევ მრავალგზის მოგეღერებინოთ კალამი უფლის, საკუთარი კუთხისა და სამშობლოს სადიდებლად.

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

საზოგადოებრივ-სახალხო მოძრაობა “აბაშელი”, “ჰელსინკის კავშირის” აბაშის რაიონული განყოფილება, საზოგადოება “ილია მართლის” აბაშის რაიონული განყოფილება, საზოგადოება “ეროვნული მოძრაობის ვეტერანთა კავშირის” აბაშის რაიონული განყოფილება მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აბაშის მკვიდრი, პოლიტიკური ორგანიზაცია “პატრიოტთა ალიანსის” რაიონული განყოფილების თავმჯდომარე

გია ბოკუჩავა

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვალებულის ოჯახს

კონსტანტინე გამსახურდიას სხარტულები

ჩვენ ადრე ვიუწყებოდით, რომ მეუფე ბენედიქტეს (ბეჯითი ჯალაღონია) ხელდასხმითა და უანგარო ღვწით გამოიცა წიგნი-ათფურცელა "კონსტანტინე გამსახურდიას სხარტი" (ხემანწყუ: ჯანაშია ნათელა მიშაში (ცაიში), რომელშიც გადმოცემულია ფრაგმენტები დიდი მწერლის გენიალური ნააზრევიდან, რასაც სრულად ვთავაზობთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს:

ვინც სიტყვახატოვანია, სხარტი თქმებითაც მდიდარია. ეგ ითქმის კ. გამსახურდიას პოეტურ, პროზაულ და პოლემიკურ შენაქმთა გამო (რვატომეული. 1958-1967 წ.წ.), საიდანაც ძუნწად ამოკრებილია მხოლოდ რამდენიმე ათეული სხარტულა, ტომისა და გვერდის მითითებით და გადანახედია ავტორის მიერ.

კ. გამსახურდია და მისეული გმირები, არც თუ იშვიათად, მეტყველებენ მიწყივ სხარტულებით. სიტყვა ავტორისა სათაურზე (აქვე, 7), სიტყვა ავტორისა სიტყვებზე (აქვე, 8), სიტყვა წმ. დავით მეოთხისა სპასალართა წინაშე (4, 122-3), სიტყვა ლიპარიტ ერისთავისა ბროლის დარბაზის ერთა ბჭობაზე (4, 250).

კ. გამსახურდია ზოგჯერ განმარტავს სხარტებს საკუთარს. **"ყოველ ჭეშმარიტად მაღალთან ქედმოხრილად უნდა მიხვიდეთ"**-ო (აქვე, 45), ასეა განმარტებული: **"ვინც წმინდა პეტრეს ეკლესიაში, რომში, დადის დიდის პრეტენზიებით და ცოდნის ტენდენციით აღჭურვილი შევა, იგი ისევე ცარიელი გამოვა იქიდან, როგორც შესულა. ვისაც ღვთის სიყვარული – ბერისა, მოთმენა – ასკეტისა, თავმდაბლობა – მონასტრის მორჩილისა და ენთუზიაზმი – პოეტისა თან დაჰყვება, მას გულს გაუხსნის ამ დიდზე უდიდესი ტაძრის დიდებულება"** (6, 388).

საკუთარი სხარტულებიდან, გმირებითურთ, ორზეა შეყვარებული (აქვე, 5 და 39), რომელთაგან პირველი, ნაწარმოებია შემდეგი აღმოსავლურიდან: **"ნუ დაივიწყებ, რომ შენ უფლისწული ხარ, მაგრამ ნურავინ იტყვის: სხვას ვჯობივარო; მე რომ მესსია შემხვდეს და მითხრას: სხვას სჯობიხარო, მე მას მივუგებდი: შენ მესსია არ ყოფილხარ-მეთქი"** (6, 155). თუ ნაწარმოებია, საიდან იქნება საკუთარი? გავიხსენოთ კ. გამსახურდიას თქმა: **"ახალი აზრი, ან რომელიმე ბრძნული სენტენცია მარტო მისი საკუთრება როდია, ვინც იგი პირველად წარმოსთქვა და გაამჟღავნა, არამედ მისიცა, ვინც მას თავად მოუძებნა ახალი ფორმა გამოთქმისა და ახალი საწყაული. მაგრამ ერთის პირობით, უფრო მაღალ ხარისხზე თუ აიყვანა თავისი საუწყებელი"** (აქვე, 10). შეუდარეთ ერთმანეთს ეს აღმოსავლური **("ნუ დაივიწყებ")** და ამისგან ნაწარმოები **("არასოდეს წამოგცდეს")**, დარწმუნდებით: შნოზე მოძებნილია გამოთქმის ახალი ფორმა და საწყაულიც და საუწყებელიც უმაღლეს ხარისხზეა აყვანილი.

"მაინც და მაინც არ მიყვარს-ო **სხვის მიერ გამოთქმული ანდაზებისა და სენტენციების მოშველიება"** (3, 719). მაინც სიყვარულით მიმართავს ხალხურს. (**"დავით აღმაშენებელი"**-ს ერთი ქვეთავი ხალხური ანდაზითაა დასათაურებული და იგივეს იმეორებს გმირთაგანიც) (4, 51, 56). იმოწმებს რუსთაველს (5, 433, 454). იშველიებს თანამედროვეთაგან, მაგალითად ა. აბაშელისაგან გაგონილს და ასაჯაროებს (**"სიტყვა აბრეშუმის საბანსა ჰგავს, დილით შეხედავ, სულ სხვა ფერი აქვს, ღამით ელექტრონის შუქზე სულ სხვა ფერი ადევს"**-ო (7, 383).

ტალანტების (მაგ. ლეონარდო და ვინჩის, ი. ჭავჭავაძის – მინდოდა მეთქვა: აიეტის – და მათი) შენაქმნის შეფასებისას დიდ ყურადღებას უთმობს მათ სხარტებს. წერილით **"ლეონარდო და ვინჩი"**, ოცზე მეტი სხარტი აქვს მკითხველისათვის მიწოდებული. ი. ჭავჭავაძის **"ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს"**-ო **("მგზავრის წერილებიდან")**, რომელშიაც კ. გამსახურდიამ აღნიშნა **"აფორიზმების ელვა"** და ამიტომაც გვერდით ამოუყენა გოეთეს **"იტალიურ მგზავრობას"** (6, 433). ასეთი ხოტბა მიაგო: **"არიან სიტყვები, რომელნიც გულს ყაყაჩოსავით სულ მალე, მეორე-მესამეჯერ ხმარებაზე ჭკნებიან, სამაგიეროდ არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს დაბერდებიან"** (7, 237).

კ. გამსახურდია აკრიტიკებს ზოგთა (მაგ. ოსკარ უაილდის, შპიტელერის) ბაცილებიან სხარტულებს. უაილდის თქმას **"ხელოვნება სინამდვილის უდიდესი რეფორმატორია"**, უპირისპირებს საკუთარს: **"მეპურეები და მეთონეები უფრო დიდ ფაქტორებს ქმნიან, ვიდრე თუნდაც უაქტივესნი ხელოვანთა შორის მწერლები"** (აქვე, 27). თუმცა იშვიათად, კ. გამსახურდიასაც მოეძებნება მცდარი შინაარსის თქმები, რომ თითქოს-და **"სისხლის მომენტი ნაციონალობაში უმნიშვნელოა"** და სუბიექტის ნებაზეა, თუ რომელ ნაციას მიაკუთვნებს თავს? (6, 333).

ამრიგად, კ. გამსახურდია, სიტყვა-ხატოვნების გამო მდიდარია სხარტულებით, მაგრამ მაინც მიმართავს ხალხურს და ცნობილ პირთა თქმებს და აქვს თავადაც შენიშნული და დაფიქსირებული; აფასებს სხვათა კარგს, აკრიტიკებს ცუდს და მასაც მოეძებნება ასეთი; აჰყავს უფრო მაღალ ხარისხზე სხვისიც; თარგმნის; შეყვარებულია ზოგზე; არა იშვიათად განმარტავს საკუთარს; სჩვევია მიწყივ სხარტულებით მეტყველებაც.

ა.1. ადამიანი თუ გიყვარს, მას უნდა უთხრა ის, რასაც ნამდვილად გრძნობ, ეს არის უმთავრესი პირობა, ეს არის უმთავრესი დიდი კულტურა კარგი საზოგადოების შექმნისა;

2. ადამიანი შეკითხვებშიაც ისევე ამჟღავნებს თავის რაობას, როგორც პასუხებში;

3 ადამიანის გული სატაცურსა ჰგავს ერთ რამეში, გაზაფხულზე იგი ქორფაა და სათუთი, სანუკველი, მაგრამ როგორც კი ძალას მოიცემს ადამიანის ბუნებაში გონება, იგი ზოგჯერ მოძველებულ სატაცურსავით გახევდება უთუოდ.

4. ადამიანის ომახიანი აღნაგობა მატყუარაა ხშირად, ასევე ხანდახან სიმჭევრეც სიტყვისა. ხშირად ლამაზად თქმულ სიტყვებში ნაკლებია ჭეშმარიტება, ვიდრე ენაბრგვილის მიერ გაცხადებულში;

5. არასოდეს წამოგცდეს, რომ შენ სხვას სჯობიხარ, მაგრამ არც ის დაგავიწყდეს, რომ შენ უფლისწული ხარ და არც იმისათვის ხარ დაბადებული, მუდამ სხვებს მიბაძო;

6. არაფერი ისე არ ახარებს თვალსა და გულს, როგორც ეგა: ახლის შექმნის მეთვალყურე იყვე და ახლის შემქმნელს შეაწიო ხმა;

7. არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური. ის მწერლები, რომელნიც სათაურის მოუფიქრებლად წერად დასხდებიან, უეჭველია მათ კარგად არ იციან, რა დასწერონ, მაგრამ ბნელში ხელების ფათურით მიუყვებიან კალამს და ასე აბამენ კედელსა და კედელს შუა, ყორესა და ყორეს შუა თავიანთ უნიათო აბლაბუდას. ის ავტორები, რომელნიც პიროვნული, ან საქეყნო ტრაგედიით შეძრულნი როდი არიან, ისეთი, რომელთაც ცხოვრების სახმილიდან არ გამოუღიათ გამოსაკვერი რკინის ნაჭერი, არამედ სწერენ იმიტომ, რომ სადღაც ასეთი რამ ამოუკითხავთ სხვათა ნაწერებში, უეჭველად თავიანთ წიგნის სათაურსაც წამხედურობით შეარჩევენ ხოლმე. სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა, ან სარკმელი კაცთა სამყოფლოსი, სათაურისა და წიგნის ურთიერთობისადმი დამოკიდებულება ისე სადავო როდია, როგორც გენეზისი კვერცხისა და ქათმისა. უთუოდ სათაურია პირველი დვრიტა შემოქმედებისა. სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას. არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც წიგნს დასწერენ, სათაურს მერე დაუწყებენ ძებნას, ეს იმას მოასწავებს, რომ მათ მთლად დალაგებული მეურნეობა არ ეგულებათ თავიანთ ნაშრომში. სხვანი თავდაპირველად ერთ სათაურს გამოუძებნიან წიგნს, მერე ამას წაშლიან და სხვას დაარქმევენ. ასეთნი ყურადღებით რომ გადაიკითხავდნენ თავიანთ ქმნილებას, უთუოდ დარწმუნდებიან, რომ მათი წიგნები ხელახლა რომ დასწერონ, ისა სჯობს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წიგნის სათაურებიც არ დარჩება მკითხველთა მეხსიერებაში დიდხანს.

8. არიან სიტყვები, რომელნიც გატეხილ ზარასავით უკვე აღარ წკრიალებენ და თქვენ რუსთაველისეული ენერგიითაც რომ მოუქნიოთ, ვერ გამოაღებინებთ მას იდუმალ წკრიალს, რომელიც ყოველი კარგი სიტყვიდან მოგვესმის ჩვენ... არიან სიტყვები, რომელნიც მაშინაც, როცა მათ ხმარობს ხალხი, მწერლისათვის მკვდარია. არიან სიტყვები, რომელნიც სიძველეთა საცავში უნდა იქნენ შენახულნი, როგორც ძველი სისტემის ზარბაზნები, რომელთაც თანამედროვე ომში კარგი ვაჟკაციც ვერ იხმარს. არიან სიტყვები, რომელნიც სავსებით უნდა იქნენ გაძევებულნი. არიან სიტყვები, რომელთაც ვერც ერთი სახელმწიფური, ეთნიური და ნაციონალური საზღვრები ვერა და ვერ დააკავებენ, ისინი იდეურ ატმოსფეროს დაჰყვებიან. არიან შეუცვლელი სიტყვები. არსებობენ გარდაუთარგმნელი სიტყვები. ახალ იდეებს მუდამ ახალ სიტყვათა მარქაფები მოსდევენ. ახალ კულტურას მუდამ ახალი სიტყვების მაყრები მოუძღვიან წინ.

9. არავის შეჰყრია ჯერ მწუხარება, რომელიც დროს არ წარუხოცნია.

10. ახალი აზრი, ან რომელიმე ბრძნული სენტენცია მარტო მისი საკუთრება როდია, ვინც იგი პირველად წარმოსთქვა და გაამჟღავნა, არამედ მისიცა, ვინც მას თავად მოუძებნა ახალი ფორმა გამოთქმისა და ახალი საწყაული. მაგრამ ერთის პირობით, უფრო მაღალ ხარისხზე თუ აიყვანა მანვ თავისი საუწყებელი.

ბ. 11. ბედისწერაა არა ის, რაც ადამიანს შეემთხვევა, არამედ იგია ბედისწერა, რასაც ადამიანი საკუთარ სულში ატარებს თავად.

12. ბრძენსაც მოუვა ხოლმე თავში შეუწონელი აზრიცა, მაგრამ საჭიროა არა მარტო ისეთი აზრის არგამხელა, არამედ სიბრძნის შეფარვაც უცილოა ზოგჯერ.

გ. 13. გვარს ისე უნდა უძღოდეს უფროსი, როგორც ცხვრის ფარას ვაცი: ცხვარნი თუ ვაცმა არ გაისარდლა, კლდეზე გადაიჩეხება უცილოდ.

14 გულახდილობა არა მარტო ამშვენებს მას, ვინც ასეთ ნიჭს იჩენს, იგი შველის მათაც, ვის მიმართაც ასეთ გულახდილობას იჩენს.

დ. 15. დიდი ადამიანების სიძულვილიც ისევე აფხიზლებს ერს, როგორც მათი სიყვარული.

16. დიდი ტალანტი სავსე თაველივით თავმოდრეკილია და ჩრდილში მდგომარე.

17. დრო ცხენსა ჰგავს ერთ რამეში: როცა ცხენი წინ გადახტება, თუ ტანი არ ააყოლე, უთუოდ ჩამოგაგდებს.

ე. 18. ენა და ძუა გრძელი უნდა ჰქონდეს ჯიშიან ცხენს, კაცს კი ენა მოკლე.

ვ. 19. ვინც სიჭაბუკეში არავის დამოწაფებია, მას სიბერეში არავის ოსტატობა არ შესძლებია.

20. ვისაც დიდი სიყვარული არ უგრძვნია, არც სიძულვილის ნიჭი აღმოაჩნდება.

21. თოვლის გუნდასა ჰგავს ხალხში დარხეული ხმა, მუშტისოდენა რომ დაგორდება მთიდან და ზვავად ჩამოვა ბარად.

ი. 22. ის ადამიანი ვერასოდეს ვერაფერს ვერ შეჰქმნის, რომელიც თავს მუდამ მრავლობით რიცხვში არ გულისხმობს.

23. ის, რაც მოუჭირვებლად დასცდება ხოლმე ადამიანს ბაგიდან, უფრო მეტად ახასიათებს მას, ვიდრე ათასგზის მოფიქრებული და განზომილი.

24. ისრებსა ჰგვანანო როგორც კეთილნი, ისე ბოროტნი სიტყვანი, უმარჯვოთაც რომ გაისროლო ისინი, ათასში ერთი მაინც მოხვდება სანიშნოს.

ლ. 25. ლოცვად მხოლოდ იგი უნდა დადგეს, ვისაც მართლაც სჯერა ღვთაების ძალა, თორემ უეჭველად გაპამპულდები.

მ. 26. მართლმსაჯულება ორლესული მახვილია, თუ იგი ფრთხილად არ მოიქნიე, ერთი დამნაშავის ძებნაში შესაძლოა ორ უდანაშაულოს წააცალო თავი.

27. მეპურეები და მეთონეები უფრო დიდ ფაქტორებს ქმნიან, ვიდრე თუნდაც უაქტივესნი ხელოვანთა შორის – მწერლები.

28. მთელი სამყარო სვამს, როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური, მაგრამ ეგაა: ღვინო, ხელოვნება და მიჯნურობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ბაზარზე გატანილი არც ერთი მათგანი არ ვარგა.

29. მიჯნურს გული აურჩევს საკუთარ დიაცს, ხოლო საქმროს, მშობლები და მდგომარეობა.

30. მოულოდნელი ამბავი კუხე ნაყოფსა ჰგავს, ხოლო მოსალოდნელი გადამწიფებულს, ერთს თუ სარეჯგვავით ძლივს ჩამოაგდებ, მეორეს სულ მცირეოდენი შერხევა სჭირია ტოტისა და თავზე დაგეცემა უმალვე.

31. მტერს ურმით უნდა მიჰყვე უკან და, თუ მუხლი გიჭრის, ბოლოს წამოეწევი მაინც, ოღონდ ეგაა: ენამ არ წაგისწროს და თმენამ არ გიღალატოს.

ო. 32. ორ რამეს უნდა დიდი დაფიქრება, ხმლის გაშიშვლებას და დაძვრას სიტყვისას, რადგან უდროოდ ამოწვდილი მახვილი ისევე აუგია, როგორც უსაგნოდ წამოროშილი სიტყვა.

პ. 33. პატრონყმობა ბატონყმობამდე კარგიაო (ნაუბარიდან – ეპისკ. ბენედიქტე).

რ. 34. რაც უნდა დიდი ქმნილების წინაშე იდგე, თვით უმნიშვნელო ადამიანიც მეტ ყურადღებას მოითხოვს შენგან.

35. რკოც მოწყვეტილი იქ დაეცემა, სადაც ბებერი მუხა წაიქცა.

36. როცა რომელიმე ქვეყანაში სტუმრები მასპინძლებზე მეტი აღმოჩნდებიან, სტუმრები მასპინძლებად იქცევიანო.

ს. 37. სასაცილოა თაისი სიბრძნით მოქადული ბრძენი, მაგრამ არა ნაკლებ საააუგოა, თავის გმირობით თავი რომ მოქონდეს გმირს.

38. საქმე ისაა, შენს სიმაღლეზე ამოიყვანო შენს ქვემოთ მდგარი, თორემ თავაწეულის წინაშე მუცელზე ხოხვას და თავში ჩაკრულისათვის წიხლის მიყოლებას ყოველი გაიძვერა იოლად შესძლებს.

39. სახელი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა თავად მოგიკითხავს.

40. სახელი ხშირად სიკვდილს უსწრებს და ხანაც სახელი სიკვდილს შორს გადაასწრებს.

41. სიავის შეტყობინებას არასოდეს გაუდის ყავლი.

42. სიტყვა ხან ოქროსებრ მძიმედ გასატეხია, ხან ნივრის ნაქურცვენივით ფშუტე.

უ. 43. უსიამოს ხილვა და სმენა ცუდად მოქმედებსო და ცუდის თქმაც სულსა რყვნისო.

44. უდირსი კაცის თვალში თვით უდიდესი და უზენაესი არარად იქცევა ხოლმე, რადგან პაშტა სარკეში როდის ჩატეულა თუნდაც სპილენძის ხატებაი.

ყ. 45. ყოველ ჭეშმარიტად მაღალთან ქედმოხრილად უნდა მიხვიდეთ.

46. ყოველი კაცი იმას უნდა ცდილობდეს, ქადილის დროს შემოდგომის ქუხილს რომ მიბაძოს, ამაოდ მოგრუხუნეს ეთერში, არამედ გრგვინვას გაზაფხულისას, წვიმების მოსვლას რომ გვაუწყებს წინასწარ.

47. ყოველი კაცისგან ნუ მიიღებ პატივისცემას, თორემ უცილოდ ჩირქი მოეცხება შენს სახელს.

შ. 48. შემოქმედი მუდამ თავის შენაქმზე უფრო მაღლა დგას, რადგან სხვას შექმნის ახალს.

ც. 49. ცუდ მოწაფეს ისევე სძულს თავისი კარგი ოსტატი, როგორც პლაგიატორს ნამდვილი ავტორი და ქურდს მოპარულის პატრონი.

ხ. 50. ხანდაზმულად ზენიტზე დგომა არაოდეს შესძლებიათ ერთხელ შობილებს.

გაზეთი "კოლხური კოშკი", 1996 წელი, (ედიშერ გიორგაძე), ჟურნალი "დისკუსია", 2007 წელი, (მარინე დამენია), ჟურნალი "აია", 2013 წელი, (გიორგი სიჭინავა)

პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

ისტორიკოსი – ასე მიიღებიან, ზემოთდასახელებულ, ურიცხვ აღქმის საგანთა შესაძლო ქმედებების გამომხატველი სხვა უთვალავი ზმნები, რომლებიც სხვადასხვა ნიუანსებში გამოხატავენ ამ საგანთა თვისებებით შემკულ ქმედებებს. სხვა მრავალრიცხოვანი ზმნები და აფიქსები კი კიდევ უფრო ზრდიან ახალკოლხური (მეგრული) ზმნური ფორმების რიცხვს.

ფსიქოლოგი – მაშასადამე, რუბინშტეინის რეპლიკა – **"სიტყვა კი არ გამოხატავს, მხოლოდ აღნიშნავსო,"** – ფუძე ქართველურ ენებზე, განსაკუთრებით კი მეგრულ ენაზე არ ვრცელდება.

ენათმეცნიერი – მაგრამ ეგ გამომხატველობა რაკი, ზემოთხსენებულ – განვითარებულ ტომთა თავსებურებაა, აქედან დასკვნა: ეს თავისებურება სრულიად არ ყოფილა სიძველისა და განვითარებულობის სიმპტომი.

ფილოსოფოსი – სწორედ ბუნებრივი სიმბოლიკა – გამომხატველობაა სიძველის უტყუარი დასტური, რადგან, წარმოუდგენელია, რომ ჯერ განმაზოგადოებელი სიტყვები წარმოქმნილიყვნენ და მერე კი განზოგადოებას რომ საჭიროებენ ისეთნი. ცხადია, ყველაფერი პირიქითაა: უშუალო თვალსაჩინოებით თვისობრიობაში იშვა განყენებული, ანუ თვალსაჩინოებადაცლილი თვისობრიობა სიტყვისა.

ანთროპოლოგი – გარდა ამისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ «... უმაღლეს ხალხთა მდგომარეობა მიღწეულ იქნა დაბალი მდგომარეობის პროგრესით...» ... უძველეს დროში უკვე არსებობდა შედარებით მაღალი ველური ცივილიზაცია. ლინგვისტური ვარაუდები ინდოევროპული ხალხების საკმაო შორი დროიდან საერთო წარმომავლობაზე, საერთოზე გარკვეული ხარისხით ფიზიკური წარმომავლობით და უფრო მეტად — ცივილიზაციით მივყავართ იგივე შედეგამდე...» ბ. ტეილორი. «პირველყოფილი კულტურა.» გვ.44 და 54.

ავტორი – მატრიარქატიდან დაწყებული, განვითარებულობა ენისა და აზროვნებისა ხსენებულ ტომებს რომ დააკლდათ, ბოლო 10-15 ათასწლეულის, ძირითადში პატრიარქატის და უფრო გვიანდელი პერიოდების მონაგარია, მაშინ როცა ადეკვატური გამომხატველი მეტყველება ასეულ ათასწლეულებს მოიცავს.

ანთროპოლოგი – "ფუძე" ენა გამომხატველ ენებში უნდა ვეძიოთ.

არქეოლოგი – საქართველოში 90-იან წლებში ნახულია 1,5 მლ. წლის ად-ის ქვედა ყბა და 2 მლ. წლის მამაკაცის და დედაკაცის ჩონჩხი. „...ამჟამად ... დაფიქსირებულია 400-ზე მეტი ძველი ქვის ხანის (პალეოლითის) ძეგლები. რომელთაგან 150 თარიღდება ქვედა პალეოლითით (50 აშელის პერიოდის, 200-ზე მეტი მუსტიეს პერიოდისა), ხოლო, დაახლოებით, — 150 ზედა პალეოლითის და მეზოლითის პერიოდებისა"... ო. ლორთქიფანიძე „ნასლედიე დრევნეი გრუზიი" გვ. 41. თარგმანი ე. ი.

ისტორიკოსი – ასე რომ, დასაბამიდანვე საქართველო პირველყოფილი ადამიანის საცხოვრისია, ამიტომ გამომხატველი ენის წარმოქმნა სრულიად ბუნებრივია.

ენათმეცნიერი – «...მე ვალდებული ვარ ვთქვა, რასაც ამბობენ, მაგრამ რომ მჯეროდეს ნათქვამის, ამის ვალდებული სულაც არა ვარ...» (ჰეროდოტე ისტორია გვ. 457). კლასიფიკაციაში ამგვარი ნიმუშის არსებობა – გამომხატველი ენა თუ ენები ენათმეცნიერებამ არ იცის: ქართვ. ენები ტიპოლოგიური კლასიფიკაციით – მორფოლოგიურით აფიქსებიანს ანუ ცვალებადსიტყვიანს (აგლუტინაციურს), ხოლო გენეალოგიურით – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს განეკუთვებიან. ამ კლასიფიკაციებით, სიძველის თუ განვითარებულობის თვალსაზრისით, რომელიმე ჯგუფის ენათათვის უპირატესობის მინიჭება უმართებულოა და მეცნიერებაში უარყოფილია.

არქეოლოგი – „...მუსტიერეს კულტურის ჩარჩოებში კავკასიაში თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება უკვე მომთავრებულია ... იმერეთის პოპულაციას გააჩნდა მნიშვნელოვანი პროგრესის ნიშნები... (და ისინი ე. ი.) უკვე არ იყვნენ ნეანდერტალელები (ტიპიური ნეანდერტალელი მუსტიერეს ეპოქაში კავკასიაში არაა აღმოჩენილი)." დ.ნ. გვ. 49

ანთროპოლოგი – ამ პოპულაციის მორფოგენეზში ამგვარი ნახტომი წარმოუდგენელია შესაბამისი აზროვნება-მეტყველების განვითარების გარეშე.

ისტორიკოსი – როგორცა ჩანს, კავკასიელებმა ერთ-ერთ კულტურულ ეპოქას გადავახტით. ფაქტი სახეზეა: ქართვ. ენები გამომხატველ ენათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ

ავტორი – გამომხატველი ლექსიკით მდიდარი ენების არსებობა ურყევი ფაქტია. და ეს, პირველ რიგში, ეხება ქართველურ ენებს, მაგ: ზოგადი, შემოსვლის მნიშვნელობის განმსაზღვრელი ზმნაა შემოვიდა, რომელიც გამომხატველი არაა და რომლის ბადალი ყველა ენას გააჩნია, მაგრამ იმის მიხედვით სუბიექტი რა ხმიანობით შემოვიდა, გვექნება: – შემობახუნდა, შემობრახუნდა, შემობაკუნდა, შემოგრიხინდა, შემოგრიალდა, შემორახუნდა და ა.შ. და ა.შ. ახლა იმის მიხედვით თუ რაგვარი მოძრაობით შემოვიდა, გვექნება: შემობარბაცდა, შემობანცალდა, შემობანდალდა, შემოცანცარდა, შემოლასლასდა, შემობაჯბაჯდა, შემობაჯგუნდა და ა.შ. და ა.შ. როგორცა ვხედავთ, ენა უსასრულოდ მიისწრაფვის იდეალურად ასახოს სუბიექტი თუ ქმედებათა მისთა უსასრულო ნაირგვარობა.

ისტორიკოსი – ბ-ნო ენათმეცნიერო, ავტორს ჩვენი ენები აჰყავს გამომხატველ, იგივე ბუნებრივ ფუძე ენათა რანგში...თქვენ კი სიახლეებს უარჰყობთ?... მაგრამ ასეთი ზმნების მქონე ენა განა შეიძლება არ იყოს გამომხატველი?...

სწორია რობაქიძე, გერმანულ ზმნასთან მიმართებით, როცა ქართულს აძლევს უპირატესობას.

ავტორი – ხოლო მეგრულ ზმნაზე ლაპარაკიც ზედმეტია: მისი უთვალავი ზმნური ფორმების თუ გამომხატველი სახელზმნების 90 პროცენტზე მეტი ქართულადაც კი ვერ ითარგმნება.

ანთროპოლოგი – რაც შეეხება განვითარებულობას: მხედველობაშია მისაღები არა მარტო დღევანდელი, არამედ სასტარტო ვითარებაც, ანუ საწყისები ცივილიზაციისა, რომელზედაც ეს განვითარებაა დაფუძნებული. ავტორმა პატრიარქატი ახსენა...

ავტორი – პატრიარქატი იმიტომ დასახელდა, ძირითადში, განყენებული ენისა და აზროვნების განვითარების ბაზისად, რომ ამ ეპოქაში შეიქმნა, მიწათმოქმედებიდან აღმოცენებულ, მრავალდარგოვან სამეურნეო ასპარეზზე, მაღალგანვითარებული – ჭეშმარიტად ადამიანური შრომის აუცილებლობა. შეიკრა წრე, რომელშიც ამ აუცილებლობით პირობადებული კომუნიკაციის მოთხოვნილება კმაყოფილდება არა მარტო უკვე არსებული, ძირითადში გამომხატველი სიტყვებით, არამედ, ასევე უკვე არსებული განყენებული ენობრივი მასალებით და, რაც მთავარია, მათი მნიშვნელოვანი ოდენობის პირველქმნადობითაც. შედეგად უმჯობესდება კომუნიკაცია, შრომის პროცესი ადის ახალ მაღალ საფეხურზე, რომელიც მოთხოვს ახალ აზროვნებას და მის მარეალიზებელ ახალ აბსტრაქტულ ენობრივ მასალას და ა.შ.

ანთროპოლოგი – როგორც ვხედავთ, პატრიარქატისა და მის აქეთა ეპოქებში გამომხატველი მეტყველების ხარჯზე, რომელიც წინა საფეხურთან შედარებით უფროა მდიდარი განყენებული ლექსიკით, მატრიარქატის, გარკვეულწილად, დასრულებული ანთროპოგენეზის შემდეგ, კვლავ იცვლება ენა და თავად ადამიანი ანუ დასრულებული ანთროპო თუ სოციოგენეზი არ არსებობს.

ისტორიკოსი – საბოლოო ჯამში ავტორისეული პერიოდიზაცია ანთროპო-სოციოგენეზისა ამგვარად გვესახება: I ნახტომი მოიცავს მხოლოდ ანტროპოგენეზს და აბსოლუტურად სამეტყველო წ და ყ ბგერათა დამსახურებაა. ხანგრძლივობით მინიმუმ 1 მლ. წლისაა, თუმცა მაქსიმუმი შეიძლება იყოს ჰომო ხაბილისის ეპოქის იქითა 2,3 და მეტი მლ.წელი: ესაა მეტყველების (ჩასახვის) პირველი პერიოდი და სრულფასოვანი მეტყველების II პერიოდი, როცა პირველადი და გადამწყვეტი ანთროპოგენეზი დასრულებულია. ჰ. უკვე მეტყველი და მოაზროვნე სუბიექტი – ადამიანია, განვითარებული თავის ტვინით (ჩაისახა მეტყველების ცენტრი), ენითა და ისეთი მახასიათებლებით როგორიცაა: გამომხატველ მოძრაობათა და ხმაბაძვის გენეტიკურად განპირობებული უნარით. ამის შემდეგ იწყება სოციოგენეზი. ამიტომ შემდგომი ნახტომი პარალელური, მაგრამ არათანაფარდი ანთროპოსოციოგენეზია: სოციოგენეზი უსწრებს მორფოგენეზს ადამიანისას.

ენათმეცნირი – ადამიანი სოციალური ფენომენია. სოციალური გარემო კი უშუალო კავშირშია შრომით მიღწევებთან. როგორ არ უნდა ასახულიყო ეს მოვლენებიმ რავალრიცხოვან გამომხატველ თუ აბსტრაქტულ ლექსიკაში ენებისა?...

ავტორი – ქართველური მდიდარია შრომასთან დაკავშირებით თუ ამ დაკავშირების გარეშე წარმოქმნილი სიტყვებით. ზემოთხსენებულნი, სწორი შენიშვნაა, რიცხოვნობით ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან: ქართვ. გამომხატველი ლექსიკის ძირითადი ფონდი ადამიანის გარესამყაროსთან ჭიდილში, ამ უკანასკნელის (ბუნების) უშუალო და თვალსაჩინო ზემოქმედების შედეგადაა წარმოქმნილი. მაგრამ საოცრება სწორედ ისიცაა, რომ მოგვეპოვება კაცობრიობის უძველეს, თითქმის ყველა ძირეულ კულტურათა ზეგავლენით წარმოქმნილი ტერმინები (არქაიზმები).

ენათმეცნიერი – ზემოთქმული, შრომის თეორიისაგან განსხვავებით, შრომას თვლის არა – ენის წარმოქმნა-განვითარების, არამედ უკვე არსებულ ენობრივ ფაქტთა განვითარების მიზეზად. თანაც აქცენტი მიმართულია ქართვ. ენებისკენ. საინტერესოა, რა "აკადემიური" მონაცემები გააჩნია ავტორს ამისათვის?...

ედემი იზორია

(გაგრძელება იქნება)

ქართული ფენომენი და მსოფლიო ცივილიზაცია



ტარიელის ამ მეტად დიდი ჰუმანური გადაწყვეტილების მიღების გამო **„ბუკსა ჰკრეს და იხარებდეს!"** მშვიდობიანობა დაუდგა მთელ მზისქვეშეთში არსებულ ხალხს!

„მოეგებიან ტარიელს, შორი-შორ უსალამიან,
შიგნითა დროშა ინდოთა მათად ცნეს, იალამიან,
ვერ გამოედვნეს ინდონი, თქვეს, თუ; „ღალატსა ჰლამიან" –
არ მოელოდეს ტარიელს, მათ ცრემლი დაილამიან".

კომენტარი: – აქ პოემის შინაარსი კულმინაციურ ზღვარს აღწევს, **„ინდოთა ქვეყანამ"** ანუ ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მშობლიურმა ხალხმა ვერ იცნო მხსნელად მოსულნი თავისნი ერის შვილები, მხოლოდ მათ **„შორი-შორ უსალმიან".** აღსანიშნავია ის ფაქტი, ხალხმა სცნო, რომ მოსულებმა სცნეს ინდოთა დროშა და მათ ინტერესები გაითავისეს, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ვერ ენდო **„ინდოთა ხალხი".** ხალხი შიშისა და სიფრთხილის მორევიდან ვერ გამოსულა – ფიქრობენ: **"ვაი, თუ ღალატსა და მოტყუებას აქვს კიდევ ადგილიო",** რადგან ისინი ტარიელს არ მოელოდნენ, ამის გამო აცრლემდნენ.

„ტარიელ მიდგა, უყივლა; მე მოველ, მეფე თქვენიო,
თანა მყავს ჩემი მნათობი, პირი ელვითა მფენიო,
ჩვენ მოგვცა მაღლით მაღალმან, წყალობა მისი ზენიო,
გამოდით, თქვენი სიშორე არს ჩემგან მოუთმენიო".

კომენტარი: ტარიელი შემართებით შემოსძახებს მშობლიურ ხალხს, **„მე მოველ მეფე თქვენიო"** და იქვე აგრძელებს, თანა მყავს მნათობნი (მნათობი – ნესტან-დარეჯანის სახით) – და რომ ქვეყნისა და ზეცის გამჩენმა მაღალმა ღმერთმა ჩვენ მოგვცა ის თავკაცობა და პირველობა, რომელსაც ჰქვია კაცობრიობის წინაშე **„სულიერი მისიის"** ტარების უფლება! – იმეორებს: შემხვდით, თქვენი სიშორის დაძლევას მოუთმენლად ველოდებიო!

„მაშინღა იცნეს ტარიელ, მათგან მი და მო სრბანია,
სრულად ნათლითა აივსო ზღუდე დაბანის-ბანია,
ხმა-მაღლად ხმობდეს, იზახდეს, მოგშორდეს სალმობანია",
აქამდის რისხვა, მმაღალმან აწ მოგვცა წყალობანია".

კომენტარი მკითხველისათვის მომინდვია.

– იქნებ ვცდები, რუსთველოლოგებო, ველოდები საპასუხო არგუმენტებს.

გენიოსმა რუსთაველმა თავის პოემაში განსახიერებულ პერსონაჟებში იგულისხმა პირობითად გარკვეული გმირები, მაგ: ფრიდონში იგულისხმება სვანური ქართული ენა, ავთანდილში იგულისხმება მეგრულ-კოლხური ქართული ენა, ტარიელში იგულისხმება იბერიული ქართული ენა, როსტევან მეფეში იგულისხმება ღვთის რჯული, მოძღვრება, ქართული მართლმადიდებლობა, თინათინში იგულისხმება ძველი აღთქმა II რჯული. ნესტან-დარეჯანში იგულისხმება ახალი აღთქმა III რჯული. ფატმანში იგულისხმება ისლამი, მაჰმადიანური რელიგია, ყურანი. ასმათში იგულისხმება მარიამ ღვთისმშობელი, ტარიელის მფარველი. ქაჯეთის ციხეში იგულისხმება მსოფლიო მწვალებელი ათეისტ-კოსმოპოლიტიკა. რამაზში იგულისხმება მსოფლიო მწვალებელი ათეისტ-კომსოპოლიტიკოსთა წარმომადგენელი, და ა.შ.

ქართველი ერი დასაბამიდან დასასრულამდე კაცობრიობის ჭეშმარიტი თანამგზავრია, ცივილიზაციის სულიერ-გენეტიკური მესაჭეა, (პლატონის განმარტებით, იბერები ჩაძირული ატლანტის პირდაპირი შთამომავლები არიან) და, როდესაც ხსენებული ეთნოსი, ნებით თუ უნებლიედ, დროებით კარგავს უპირატესობის მისიას კაცობრიობის წინაშე, დედამიწაზე ხდება ბუნების საწინააღმდეგო ქმედებები, დედამიწიერი ხალხი თავისი ამპარტავნობის გამო შორდება ღმერთს და ანტიღვთიურ ქმედებებს სჩადის. უღმერთო ადამიანმა შეძლო შექმნა წყალბადისა და ატომური ბომბისა, რომლის აფეთქებას ხუთი დედამიწის სიდიდის მსგავსი პლანეტის დაშლა შეუძლია, ისე რომ ხუთასი წელი ნიადაგზე ბალახი არ აღმოცენდება, და ეს ხდება მაშინ, როდესაც მსოფლიოში დაბალი გენეტიკისა და ცნობიერების ხალხები შიმშილით და პრიმიტიული ცხოვრების წესის არქონის გამო იღუპებიან.

ყოველი დედამიწიერი ადამიანის ვალია ფიქრი არსებული სიტუაციიდან მშვიდობიანად თავის დაღწევაზე, მაგრამ არა იმ მეთოდით, რომ მსოფლიოში არსებულმა შვიდი მილიარდმა ადამიანმა იმოქმედოს თავისი ინდივიდიდან გამომდინარე, (იქნებოდა სრული ქაოსი), არამედ მსოფლიო განათლების მეშვიდე ცნობიერების სწავლითა და ზიარებით, რომელსაც იესო ქრისტეს მიოძღვრება ეწოდება, რომლის ცოდნის ზიარება გაათავისუფლებს კაცობრიობას არსებული კატასტროფული მდგომარეობიდან.

სწორედ ქრისტეს მოძღვრებისა და ქრისტემდე დედამიწაზე არსებული ექვსი (ადამი, ნოე, აბრამი, ისააკი, იაკობი, მოსე) მსოფლიო ღვთაებრივი განმანათლებლის ცნობიერების შინაგანი მატარებელია ქართველი ერი. (ქამი, სემი იაფეთი) აქედან გამომდინარე, შეუძლებელია პიროვნება იყოს წოდება **„ქართველის"** მატარებელი, თუ მისთვის უცხო და მიუღებელი იქნება ზემოთხსენებული ჭეშმარიტება.

ქართველი ერის შემოქმედებითი ფენომენი განუზომელი და აქტუალურია მსოფლიოს ხალხთა წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ თანამედროვე მსოფლიოს ელიტურ ნაწილს გააჩნია ჭეშმარიტი ცნობიერი ხედვა აწმყოს, წარსულისა და მომავლის მიმართ, მით უმეტეს, ვალდებულია გაუფრთხილდეს ხსენებულ გენოფონდს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვითარება პირიქითაა, რომლისთვისაც ახლო მომავალში პასუხს აგებს თანამედროვე მსოფლიოს გარკვეული ნაწილი. არსებული დღევანდელი კაცობრიობა ვიმყოფებით პლანეტა დედამიწაზე, ქრისტეშობიდან 2014 წელს, რომელსაც ბიბლიური ქრონოლოგიითა და კოსმიური ჟამთააღრიცხვით აპოკალიფსის ბოლო პერიოდი ეწოდება. XX ს-ისა და XXI ს-ის გასაყარზე, მესამე ათასწლეულის დასაწყისში მაცხოვარი იესო ქრისტე უამრავ წმინდანთან ერთად მოიკითხავს დედამიწას, ანუ ზეციერი ძალები ჩაერთვებიან დედამიწის გადარჩენსა და მოწესრიგებაში (ყველაფერი ცნობილია წმინდა წერილებიდან), ამიტომ მოვუწოდებ ყველა დედამიწიერ ადამიანს, რომ იმოქმედონ მხოლოდ ღვთიური აზროვნებიდან გამომდინარე, – შეიცანით ღემრთი თქვენი, შეიყვარეთ მაცხოვარი იესო ქრისტე, სწავლით, დაძლიეთ მართლმადიდებლური მოძღვრება, რათა იყოთ ბედნიერნი როგორც ამ დედამიწაზე, ასევე მომდევნო ზეციურ სავანეებში!

„აირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლო" (III ეზრა. 7. 59).

მურმან ხუბულავა

ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ (ᲘᲑᲔᲠᲘᲣᲚᲘ) ᲔᲜᲐ (ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ)

„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავის ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა. დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წარწყმედისაც. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა“.

ᲘᲚᲘᲐ

„საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ბუნებრივია, იბერთა ქვეშევრდომობაში მყოფ, ნარევ ქართულ ენაზე ლიტერატურა ვერ იარსებებდა. ამიტომ, უეჭველია, გაერთიანებული სახელმწიფო ენის სტატუსის მიღების შემდეგ, ამ ენაზე, პირველ რიგში გაჩაღდებოდა მთარგმნელობითი კამპანია, მაგრამ მანამდე უფუნქციო ენა და, შესაბამისად, ამ ენაზე თარგმნილი ლიტერატურა ვერ იქნებოდა სრულყოფილი. ალბათ, ამიტომ წუხდა იოანე პეტრიწი „მომრავლდნენ უნიჭო მთარგმნელები და შეუსაბამოობათა უსაზღვროობა დაულეველი იყო“-ო (ინტერპრეტაცია ჩემია, კ.ფ.) (იხ. იოანე პეტრიწი, შრომები II, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის მიერ, ბოლოსიტყვაჲ, 1937, გვ. 219). ამიტომ იკლავდა თავს და დღე და ღამეს ასწორებდა, რომ თავისი გვარტომისათვის შეექმნა სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბიოთაგან ენა: „...არავე ცრული სარეცეთა მომდოვრებისა ჩემისათა, და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არა მომხედნა მე გონებითმან ცისკარმან დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათაჲ არღ ენაცვლების; და აღვიშურვე ტომისათჳს გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეი მდაბრიონთაგან...“ (იხ. იქვე, გვ. 220).

აქ კარგად ჩანს რამდენად მძიმეა უგანათლებულესი პეტრიწის მიერ ჩატარებული რეფორმის შემდეგაც ქართული ენა და ადვილი წარმოსადგენია რამდენად მძიმე იქნებოდა პეტრიწამდელი, მით უმეტეს, ექვსი საუკუნის წინანდელი ქართული ენა. მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ, „წამებაჲ წმინდისა შუშანიკისაჲ“ და ქართულ ენაზე დაწერილი, პეტრიწამდელად მიჩნეული ყველა წერილობითი ძეგლი თავისუფლად იკითხება და სიმსუბუქით, დაახლოებით, შეესაბამება მე-14 საუკუნეში მოღვაწე მაკარ მესხის ენას. რაშია საქმე? ამაზე ქართველ მეცნიერებს პასუხი არა აქვს, გარდა იმისა, რომ პეტრიწი ფილოსოფოსი იყო და ფილოსოფიური შრომები, საერთოდ, მძიმეა ჩვეულებრივ თხზულებებზეო, მაგრამ **ბოლოსიტყვაობაში** ფილოსოფიური არაფერია. უბრალოდ მოთხრობილია რა წინააღმდეგობები ჰქონდა პეტრიწს სიმართლის თქმის გამო; რატომ დასჭირდა ადრე რამდენიმე ავტორის მიერ ნათარგმნი ნაშრომის განმეორებით თარგმნა; როგორ იღწვოდა იგი ქართული ენის გამდიდრების, განვითარებისა და სრულყოფისათვის. მაგრამ პეტრიწის ლექსიკაა გაუგებარი და სხვა ნაშრომებთან განსხვავებით, ამიტომ დასჭირდა მას თარგმნა (თარგმნა პროფ. დამანა მელიქიშვილმა).

ერთ-ერთი აკადემიის სხდომაზე, მომხსენებელს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქართული ენა ფარნავაზამდეც იყო სახელმწიფო ენაო, ასეთი კითხვები დაუსვი: მოგეხსენებათ, რომ დედანში ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უძველესი წერილობითი ძეგლი იოანე პეტრიწის შრომებია. თუ „წამებაჲ წმინდისა შუშანიკისაჲ“ მე-5 საუკუნეშია ქართულ ენაზე დაწერილი, რატომაა მე-5 საუკუნის ქართულ ენაში ყველაფერი გასაგები, ხოლო მე-11-მე-12 საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე იოანე პეტრიწის ლექსიკა, იმდენად გაუგებარია, რომ თარგმნა დასჭირდა? რა, ექვსი საუკუნის განმავლობაში, განვითარების ნაცვლად, გაუხეშდა ენა? თუ ფარნავაზის ხანაში ქართების ენა სახელმწიფო ენა იყო, რატომ ერქვა ქვეყანას იბერია? ოფლმა გადაასხა ბატონ პროფესორს, რაღაც აბდაუბდა ილაპარაკა, მაგრამ ის არ იყო ჩემი კითხვების პასუხი. მინდოდა მე თვითონ გამეცა ჩემს კითხვებზე პასუხი, მაგრამ ბრაზმორეულმა პრეზიდენტმა, რომელსაც სხდომა მიჰყავდა, ნება არ დამრთო.

რაც შეეხება ლეონტი მროველის, თუ არმენი ავტორის მიერ მოჭორილ სიცრუეს (არმენის იმიტომ, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა...“ დედანში არავის უნახავს, ხოლო ყველაზე ძველი ხელნაწერი (1270-1310) არმენულ ენაზეა შემონახული. ყველა დანარჩენი, ჩვიდმეტივე ხელნაწერი მე-15 საუკუნის შემდეგდროინდელია): ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული და სხვა ენა არღა იზრახებოდა ქართლსა შინა, თჳნიერ ქართულისა“, იმის საკომპენსაციოდაა დაწერილი, რომ ქართველებს შეეწყნარებინა უფრო დიდი სიცრუეები: 1. „აქამომდის (550 წლამდე ძვ.წ.აღ) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართუელთაცა დაუტევეს ენა სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული.

და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა. რამეთუ ცოლქმრობისათჳს არა უჩნდათ ნათესაობა: და ყოველსა სულიერსა ჭამდეს: საფლავი არა იყო, მკუდარსა შესჭამდეს“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტომი I, 1955, გვ. 16) და 2. „...განუყო თარგამოს ქვეყანა და ნათესავი თჳსი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქვეყანისა მისისა მისცა ჰაოსს (არმენთა ეთნარქს, კ.ფ.), ხოლო შჳდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა:...“ (იქვე, გვ. 4).

ამ სიცრუეთა ჭეშმარიტების რანგში მიღებას და ცხოვრების სინამდვილეში რეალიზებას ხელს უშლის დღემდე ცოცხალი იბერიული ენა, რომელიც განსაზღვრავს დღეს ქართველად წოდებული ერის ეროვნულობას და სწორედ ამიტომაა ე.წ. მეგრული ენა (სახელი სპეციალურადაა შეცვლილი, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა გააადვილდეს) გარე აგრესიულ ძალთა პირდაპირი სამიზნე. მაგრამ, გასაკვირია, რატომ არ იღებს ხმას ეთნიკურად ქართი მოღვაწენი ამ სიცრუეთა წინააღმდეგ? რატომ დაუფლებიათ სამარისებრი დუმილი?

ზემოთ მოტანილმა ფაქტებმა მრავალი კითხვა დაბადეს, რომლებიც არაერთხელ დავუსვი მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, რომელთა პასუხი ერთობ საინტერესოა ქართველი საზოგადოებისათვის, მაგრამ მათ ჩემს კითხვებზე პასუხი არა აქვთ და პასუხის ნაცვლად ისტორიის სულ უფრო გაყალბებას, მეგრული ენის წინააღმდეგ ბრძოლას მიჰყვეს ხელი. მე კიდევ, საკმაოდ შრომისუნარიანს ამიკრძალეს სამეცნიერო დაწესებულებებში მოხსენებების გაკეთება. უფრო მეტი, დარაჯად მუშაობაც ამიკრძალეს, რომ უსახსრობით შებოჭილმა ქაღალდისა და საწერი პასტის შეძენა და ჩემი კვლევების გამოქვეყნება ვერ შევძლო. პარალელურად გააქტიურდნენ ანტიმეგრული, უფრო სწორად, ანტიქართული ძალები და ქართველი ერის ისტორიის გაყალბებას და ე.წ. მეგრული ენის ღირსებებისა და ქართული ენის განვითარებაში მისი როლის აშკარა იგნორირებას აქვს ადგილი, რაც, ჯერ ერთი, ქართველი ერის ერთიანობას საფრთხეს უქმნის, რადგან დაუმსახურებელი შეურაცხყოფის ატანა ყველას არ შეუძლია. ამით სარგებლობს გარე აგრესიული ძალა და, ბუნებრივია, მეგრელთა შორის იპოვის საყრდენს, რომელიც საქართველოს ერთიანობას საფრთხეს შეუქმნის, მით უმეტეს, როცა ასეთი საყრდენი ეთნიკურ ქართებში უკვე ნაპოვნია (ანანია ჯაფარიძე, ტარიელ ფუტკარაძე, მარიამ ლორთქიფანიძე და სხვები), რომლებიც იმისთვის იღწვიან, რომ უბიძგონ მეგრელებს საქართველოს ერთიანობის რღვევისკენ, რომლის შემდეგ ქართული სახელმწიფო აღარ იარსებებს (აღსანიშნავია, რომ ძეცთომილთა უკან მდგომი აგრესიული ძალა იმდენად ძლიერია, საპატრიარქოც შეცდომაში შეიყვანეს და ამ „საშვილიშვილო“ სიყალბეებზე ფრთაშესხმისათვის აკად. მარიამ ლორთქიფანიძე წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვეს). მეორეც, მეგრული ენის ენობრივი მონაცემების დამალვა მნიშვნელოვნად დაამუხრუჭებს მსოფლიო ლინგვისტიკის და, შესაბამისად, კაცობრიობის სულიერ-ზნეობრივ განვითარებას, რამეთუ ე.წ. მეგრული ენა, ერთადერთი დედამიწაზე, ინახავს ენისა და მეტყველების წარმოშობის საიდუმლოებებს, რომლებიც ენათმეცნიერებს დღემდე სამუდამოდ დაკარგული ეგონათ.

ე.წ. მეგრული ენა, მრავალ საიდუმლოებებს შორის, ინახავს საიდუმლოს, თუ **რომელ ენაზე დაიწერა დედანში ბიბლიური დაბადება,** რომელიც გადმოცემის თანახმად, ძვ.წ. აღ. მე-13 საუკუნეში, მოშემ (მოსემ) თარგმნა არამეულიდან, მაგრამ არამეულ ენაზე არსებული **დაბადება** დედანი იყო, თუ თარგმანი, უცნობია. ჩვენ აღმოვაჩინეთ ბიბლიური **დაბადების** ტექსტში 21 პირდაპირი მინიშნება, რომლებიც ადასტურებენ, რომ აღნიშნული უძველესი თხზულება დედანში დაიწერა იბერიულ ენაზე. ეს მტკიცებები, სხვა მრავალ მტკიცებებთან ერთად, ადასტურებს, რომ კაცობრიობის პირველი დამწერლობის შექმნის პატივდიდება, არა ფინიკიელებს, არამედ იბერებს ეკუთვნის.

აღნიშნულ აღმოჩენებამდე, აღმოვაჩინე, რომ ჩვენი დამწერლობანი, მხედრული და ასომთავრული, იბერთა შექმნილია (იხ. ჩვენი, კოჩა კოლხის ფსევდონიმით, **ძველ-კოლხური ენის საიდუმლოებანი**), რაშიც არავინ მედავება, პირიქით, მითხრეს კიდეც, ვერავინ შეგედავებაო, ხოლო აღიარებაზე კი რა მოგახსენოთო, მაგრამ კულისებში და, სამწუხაროდ, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჯიუტად გრძელდება ჩვენი დამწერლობების წარმოშობაზე სიცრუის სწავლება, რითაც მახინჯდება ქართული ეროვნული სული.

ქართველ ერს საკმაოდ აქვს საამაყო მონაპოვარი და გაზვიადებული, ყალბი ისტორიით ამპარტავნობა არ ეკადრება. ქართული ენა ერთ-ერთი საოცრად გამარტივებული და დახვეწილი, სრულად გახმოვანებული და გრამატიზირებული ენაა მსოფლიოში. ეს ჭეშმარიტება მსოფლიოს ცნობილ მეცნიერთა მიერაცაა დადასტურებული და ქართული ენა წარმოადგენს ერთ-ერთ კლასიკურ ენას მსოფლიოში, მაგრამ ქართული ენის წარმოშობასა და განვითარებაში მისი წინარე ენის როლისა და ღირსებების დაკნინება თუ არ ავნებს, დადებითს არაფერს შესძენს მას. პირიქით, იბერიული ენის როლის იგნორირებამ და მისი ქართულის დიალექტად დაკანონებისთვის ისტორიის მიზანმიმართულმა გაყალბებამ უსაძირკვლო ტაძარს დაამსგავსა ქართველი ერი, რომლის დანგრევა მცირეოდენ ბიძგსაც შეუძლია. მოკლედ წინაპართა წინდაუხედავმა ნაბიჯებმა ბევრი თავსატეხი დაგვიტოვა ქართველებს; როცა მამაპაპათა დანატოვარ სიმდიდრეს ვერ პატრონობს მემკვიდრე, ბუნებრივია, მას სხვა ეუფლება. სწორედ, ამიტომ არ შეიჭვანეს ქართველები მსოფლიოში არსებულ 222 კულტურულ ერთა შემადგენლობაში. სამაგიეროდ შეიყვანეს ჩეჩნები, ინგუშები, აზერბაიჯანელები და სომხები, როცა ეს უკანასკნელი ჰეროდოტეს ეპოქაში კავკასიაში არ ჭაჭანებს. არ შეიყვანეს იმიტომ, რომ წინაპართა (კოლხ-იბერთა) უარმყოფელი ქართები მე-10 საუკუნემდე არ ჩანან მსოფლიო არენაზე.

ამრიგად, „ცხოვრება ქართველთა მეფეთას...“ და მის საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში განვითარებული ტენდენციის თანახმად, ქართველი ერი უწარსულო ერია. თუ ზემოაღნიშნული შეცდომები არ გამოვასწორეთ დროზე, ანუ მიზეზი თუ არ ამოიძირკვა, შეუძლებელია ის, მიზეზშედეგობრიობის შეუვალი კანონის თანახმად, უშედეგოდ გაქრეს; დღეს, თუ ხვალ, ქართველი ერი შეწყვეტს არსებობას. – როგორ გამოვასწოროთ წინაპართა დაშვებული შეცდომები? რა ღირებულებებია შემონახული ე.წ. მეგრულ ენაში?

სადავო არ არის, რომ ლექსიკური სიმდიდრე და სიტყვაკაზმულობა, მისი შინაარსი განსაზღვრავს ამა თუ იმ ენისა და ამ ენაზე მეტყველი საზოგადოების განვითარების დონეს, მის თვითმყოფად კულტურას და სრულყოფის სიმაღლეს.

მოგეხსენებათ, ინგლისური ენა, 490.000 ლექსიკური ერთეულით, მიჩნეულია უმდიდრესად და გინესის წიგნშია შეტანილი. ე.წ. მეგრული ენა შესაძლო გამოყენებადი ფორმებითურთ, მოიცავს მილიარდ 410 მილიონზე მეტ ლექსიკურ ერთეულს. ეს ჭეშმარიტება დამტკიცებული აქვთ მამაშვილს – მამანტი და ცირა ძაძამიებს, მაგრამ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ენათმეცნიერების ინსტიტუტი სამარისებურად დუმან, მაშინ, როდესაც საზოგადოებას ძალზე აინტერესებს, ეს მტკიცება ჭეშმარიტებაა, თუ გაზვიადებულია. ამის დასტურია ერთ-ერთი მაყურებლის უმორჩილესი თხოვნა ტირილით, 2013 წლის 26 ოქტომბერს, სტუდია „ობიექტივის“ სტუმრებისადმი (პროფესორები რაულ გვეტაძე და რამაზ პატარიძე): „სასწაულებს წერენ მეგრულ ენაზე, გაეცით პასუხი, თორემ დავილიე კაციო“. მაგრამ პასუხის ნაცვლად, ვიმეორებ, მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გააძლიერა **საქართველოს ისტორიის** გაყალბებების ტენდენცია.

„ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“-ს პოზაში გაყალბების კამპანია ჯიუტად და აშკარად იმიტომ გრძელდება, რომ მაღალი ტიტულებით დახუნძლული „მეცნიერების“ (ჭეშმარიტების შეგნებულად გამყალბებელი, მეცნიერი არაა. ზოგ მათგანს სხვათა ხელმძღვანელობით მიღებული წოდებები უმაგრებენ ზურგს, თორემ, შეიძლება, თავიანთ შეხედულებებშიც ჰქონდეთ ეჭვი) წინააღმდეგ ბრძოლა სამეცნიერო ხარისხის არ მქონე მკვლევარს გვიწევს. ჩვენც გვქონდა სურვილი, ოფიციალურად გაგვეღო სპეციალური სამეცნიერო სკოლა და სამეცნიერო ხარისხის მოპოვება, რომ არ გამიძნელდებოდა, ამაში ჩემი მკითხველი დამეთანხმება. მაგრამ, რადგანაც თავიდან კვლევითი სამუშაოები ამ სკოლის ლეგალურად გავლის გარეშე დავიწყეთ, ყველა გზა გადაგვიკეტეს; მიუხედავად იმისა, ჩვენი ერთ-ერთი კვლევის რეცენზიაში აღინიშნა, რომ ძირისეული ფორმებისა და უძველესი სიტყვების ეტიმოლოგიის კვლევის ასეთი მეთოდი, ლინგვისტურ მეცნიერებაში უცნობია და არ შეიძლება მეცნიერულად ჩაითვალოსო, ჩვენ არ დაგვიყრია ფარხმალი, რადგან უზენაესის ნება ენათმეცნიერებისთვის მამზადებდა ბავშვობის ასაკიდან და ინჟინრის სპეციალობაც, ალბათ, იმიტომ მიმაღებინა, რომ სხვებისთვის შეუძლებელი მეთქვა. მე არა მაქვს პრეტენზია ამ მეთოდის ამომწურავად და სრულყოფილად შემუშავებისა. ამა თუ იმ მეთოდის დადგენას ტიტანთა ჩარევა სჭირდება, მაგრამ ჩემი მიგნებები, რომ ყურადღების ღირსია და უკუსაგდები არაა, ამაში ჩემი გადარწმუნება ძალზე ძნელია.

სამეცნიერო დაწესებულებებისა და ენათმეცნიერთა ავტორიტეტისათვის აჯობებდა მოესმინათ მაინც ჩვენს მიერ წარმოდგენილი სიახლე. იქნებ, სასარგებლოა იგი და აუცილებელია მისი სიღრმისეული შესწავლა, ან, შეიძლება, მცდარი თეორიაა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მისი მოტივირებული უარყოფა, რომ შეცდომაში არ შევიდეს საზოგადოება. ხოლო „ავტორის მიგნებები ენათმეცნიერებაში უცნობია, ამიტომ არამეცნიერულია და ყურადღების ღირსი არაა“-ო, – ასეთი მოკლე წინადადებით ჩვენი ნაშრომების ბედის გადაწყვეტა არც მათ ავტორიტეტს არგებს და არც ქვეყანას. პირიქით, ასეთი მიდგომა აღვივებს შუღლს და ანგრევს ქვეყნის ერთიანობას.

ცნობილია, რომ ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ მოძიებულია 1500-მდე ძირისეული ფორმა, რომლებიც საერთოა ქართველური ენებისათვის (იხ. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი); ამას იქით არ წასულა ენათმეცნიერება, არ უკვლევიათ ძირისეული ფორმები სინქრონიულ-დიაქრონიულ (ჩასახვა-განვითარების) დონეზე, რადგან მეტყველების წარმოშობის საიდუმლოებანი, იბერიული ენის გარდა, სხვა ენებს ვერ შემოუნახავს. არადა, ძალზე საინტერესოა. საზოგადოებამ იცის ამა თუ იმ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობა, მაგრამ ვერ აცნობიერებს, რის საფუძველზე მიენიჭა ამა თუ იმ სიტყვას, ესა თუ ის მნიშვნელობა. მაგ., მისასალმებელი სიტყვების **გამარჯობა-გაგიმარჯოს** ეტიმოლოგია გაურკვეველია, არავინ იცის რას ისახავდა მიზნად ამ სიტყვების დამკვიდრება ადამიანთა ურთიერთობაში, რა ფორმით ჩაისახა ისინი; რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩასახვის მომენტში და რა ფონეტიკური ცვლილებები შეეძლო განეცადა თანამედროვე ფორმებად ჩამოყალიბებამდე.

თუ ეს სიტყვები ჩასახულია არქაულ ხანაში, როცა ჯერ კიდევ, მეტყველებაში არ იყო საფიქსაციო-საგრამატიზაციო საშუალებები და მხოლოდ ძირისეული ფორმები არსებობდა საკომუნიკაციოდ, შემდეგი ფორმით უნდა ჩასახულიყო: **გგმგრჯგსგფგ** და **გგგმგრჯგქგრდგ**, რომლებმაც თანამედროვე სიტყვებად ჩამოყალიბებამდე შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები გამოიარეს: **გგმგრჯგსგფგ** ® **გამარჯყოფა** ® **გამარჯოფა** **გამარჯობა;** **გგგმგრჯგქგრდგ** **გაგიმარჯგქორდა[ს]** **გაგიმარჯორდას** **გაგიმარჯოს.**

ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲤᲘᲐ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორგი ჯალაღანიას

ყველაზე სევდიანი გულშემატკივრის ისტორია

"ფეხბურთი ძალიან მიყვარს, ისე ძალიან, რომ თუ ტრიბუნაზე მოვკვდები, არ დამმარხოთ, იქვე დამტოვეთ!"

"კაფუს ანგარიშზე 142 სანაკრებო მატჩია, მე კი უკვე 150-ზე მეტი მომიგროვდა. უკვე შემიძლია, თავს ბრაზილიის ნაკრების მე-12 მოთამაშე ვუწოდო".

მოკლედ, ბრაზილიელებს მსოფლიოს ყველა კონტინენტზე წყალობს ბედი, გარდა საკუთარი სამშობლოსი. სწორედ ბრაზილიელებმა დაარდვიეს 1958 წელს შვეიცაიში გამართულ მსოფლი ჩემპიონატზე მანამდე არსებული ტრადიცია – ამერიკის გუნდები მხოლოდ ამერიკის კონტინენტებზე ხდებოდნენ ჩემპიონები ფეხბურთში, ევროპელი გუნდები კი მხოლოდ ევროპის კონტინენტზე. 1958 წელს, როცა შვეიცია-ბრაზილიის საფინალო მატჩზე შვეიცის ნაკრების ვეტერანმა ფეხბურთელმა ლიდ-ჰოლმმა მატჩის მეოცე წუთზე გოლი გაიტანა ბრაზილიელთა კარში, ყველამ იფიქრა, რომ ტრადიცია ტრადიციად დარჩებოდა, მაგრამ ეს ლეგენდა წამიერად გააცამტვერეს გარინჩამ, ვავამ, ზაგალომ და პელემ და ბრაზილია ჩემპიონი გახადეს. სწორედ ამ მატჩმა დაარწმუნა სამყარო, რომ ყველაზე ფანატიკური გულშემატკივარი დიახაც რომ ბრაზილიის ნაკრებს ჰყავდა, რადგან ქალაქ ბელუ-ორიზონტეში, როცა შვეიცის ნაკრების მიერ გატანილი გოლის შემდეგ ვიღაც ტაქსის მძღოლს ეჭვი შეეპარა ბრაზილიის ნაკრების გამარჯვებაში, იგი დანით მოკლე მის გვერდით მდგარმა გულშემატკივარმა.

მას შემდეგ ბრაზილიის ნაკრები ხუთჯერ გახდა მსოლიო ჩემპიონი, მაგრამ ფინალი და ნახევარფინალი სწორედ საკუთარ სამშობლოში დათმო.

როცა გერმანელმა ფეხბურთელებმა მეშვიდე **"ლურსმანი"** ჩააჭედეს ბრაზილიის ნაკრების კარში, ტელეკამერების ობიექტივში ვინ იცის, მერამდენედ მოხვდა ჭადარა მამაკაცი, თვალცრემლიანი რომ ეამბორა მსოფლიო თასის ასლს. მალევე, ფოტო სოციალურ ქსელშიც გავრცელდა სათაურით **"მსოფლიოში ყველაზე სევდიანი გულშემატკივარი"**. ცოტა ხანში, მსოფლიო თასს ჩახუტებული სევდიანი ქომაგი ბრაზილიის მუნდიალის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ იქცა!

გულშემატკივარი, რომელიც მალე მთელმა მსოფლიომ გაიცნო, 59 წლის ბრაზილიელი კლოვის აკოსტა ფერნანდეში აღმოჩნდა. მის ანგარიშზე უკვე 155 მატჩი და არაერთი დიდი ტურნირია: ზედიზედ შვიდი მუნდიალი, ექვსი **"კოპა ამერიკა"**, კონფედერაციის ოთხი თასი, ოლიმპიური თამაშები, სამოცზე მეტ ქვეყანაში მოგზაურობა... **"კაფუს ანგარიშზე 142 სანაკრებო მატჩია, მე კი უკვე 150-ზე მეტი მომიგროვდა. უკვე შემიძლია, თავს ბრაზილიის ნაკრების მე-12 მოთამაშე ვუწოდო"**, – ამბობს ფერნანდეში.

ყველაფერი კი იტალიაში, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე დაიწყო. თუმცა, აპენინის ნახევარკუნძულზე გამგზავრება კლოვისმა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც მეუღლის ულტიმატუმი შეასრულა – ცოლს გერმანული ფორტეპიანო უყიდა. როგორც კი მუსიკალური ინსტრუმენტი დააბინავა, ოჯახის უფროსმა ევროპაში თვე-ნახევრით გამგზავრების უფლება მიიღო. ტურინში მუნდიალის სტარტამდე კარგა ხნით ადრე ჩავიდა და ადგილობრივ კაფეში მუშაობის დაწყებასაც კი აპირებდა! საქმე ის არის, რომ კლოვისს ბრაზილიაში პიცერია ჰქონდა და უნდოდა, იტალიური პიცის მომზადების საიდუმლო შეესწავლა, თუმცა... **"მალევე მივხვდი, რომ უფრო გემრიელი პიცა გამომდიოდა და არაფრის სწავლა არ მჭირდებოდა. ასე რომ, უბრალოდ ვსეირნობდი და ქალაქს ვათვალიერებდი"**. საბოლოოდ, კლოვისი ისე გაერთო ნაკრებთან ერთად მოგზაურობით, რომ სამუშაომ მეორე პლანზე გადაინაცვლა და პიცერია ძმას გადააბარა.

მუნდიალის მიმდინარეობისას კლოვისი და მისი მეგობრები ნაქირავები ავტომანქანით დადიან: ასე უფრო მოსახერხებელია ქვეყნისა და ხალხის უკეთ გაცნობა, ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ა.შ. ბრაზილიელს ამ წესის დარღვევამ მხოლოდ ერთხელ, 2002 წლის მუნდიალისას, მოუწია: **"იაპონიაში ჩასულმა აღმოვაჩინე, რომ ჩემს სადაზღვევო ბარათში არაფერი იყო ნათქვამი ავტომანქანის დაქირავების უფლებაზე. ვიყიდეთ ნახმარი იაპონური ავტომანქანა და მთელი ტურნირის განმავლობაში მისი მეშვეობით გადავაადგილდებოდით. რა მოვუხერხეთ მუნდიალის დასრულების შემდეგ? იაპონიიდან გამგზავრების წინ, ავტომანქანა... layStation-ში გავცვალე, შვილთან ხელცარიელი ხომ არ დავბრუნდებოდი?!"**

იმავე მუნდიალზე, ფიფამ სწორედ კლოვის აკოსტა ფერნანდეში დაასახელა ყველაზე გამორჩეულ გულშემატკივრად და ტურნირის ერთ-ერთი სიმბოლოც უწოდა. **"მას შემდეგ გაცილებით პოპულარული გავხდი და სპონსორების მოძებნასაც გაცილებით იოლად ვახერხებდი"**. თუ 1990 წლის მუნდიალზე კლოვისი საკუთარი ხარჯით გაემგზავრა, ამიერიდან ქვეყნის გარეთ მისი ყოველი გამგზავრება ნამდვილი ბიზნესპროექტია: სპონსორები მზად არიან, კლოვისის ავტომანქანაზე რეკლამის განთავსების სანაცვლოდ არა მხოლოდ ავიაბილეთების, სასტუმროს ფულიც გადაიხადონ. მაგალითად, 2009 წლის კონფედერაციის თასზე გამგზავრებისთვის საჭირო თანხა კლოვისს რიოგრანდე დუ სულის მთავრობამ გადაუხადა. მას მერე კლოვისი ბრაზილიის ამ შტატის ელჩი გახლავთ – დაფინანსების სანაცვლოდ კი შტატს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე წარმოადგენს.

მსოფლიო თასის ასლი კლოვისს ყველა ტურნირზე თან ახლავს: **"თასი ყველგან დამაქვს. ჩემი ასლი იმავე ზომისაა, როგორიც ორიგინალი, თუმცა, მას გაცილებით ხშირად კოცნიან, ვიდრე ორიგინალს"**, – ამბობს ულვაშა ბრაზილიელი.

ბუნებრივია, ფერნანდეშს თასის წაღება **"მარაკანაზეც"** სურდა (მუნდიალის ფინალს სწორედ ლეგენდარულმა სტადიონმა უმასპინძლა.– ავტ.), მაგრამ გერმანელებთან დამამცირებელი მარცხის შემდეგ განუყრელი "სუვენირი" გვერდით მჯდომ გერმანელ გოგონას აჩუქა: **"წაიღეთ ის ფინალურ მატჩზე! გილოცავთ, თქვენ ის ნამდვილად დაიმსახურეთ!"** – უთხრა გულდათუთქულმა ბრაზილიელმა ბუნდესგუნდის გახარებულ გულშემატკივარს და თასს უკანასკნელად ეამბორა. სხვათა შორის, კლოვისი გერმანელებს დიდ პატივს სცემს და მიაჩნია, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით 2006 წლის მუნდიალი ყველას სჯობდა: **"ავტომანქანით თითქმის მთელი გერმანია გავიარე და ყველგან ძალიან თბილად მხვდებოდნენ. თანაც, ევროპაში ყველაზე უკეთ სწორედ გერმანელები თამაშობენ"**, – დარწმუნებულია კლოვისი.

ყველაზე მეტად კლოვისი ოჯახის წევრებს ემადლიერება: **"მადლობა ჩემს ცოლსა და ოთხ შვილს, რომლებიც ამდენი წელია, მშვიდად ხვდებიან ჩემს გატაცებას. ფეხბურთი ძალიან მიყვარს, ისე ძალიან, რომ თუ ტრიბუნაზე მოვკვდები, არ დამმარხოთ, იქვე დამტოვეთ! ხუმრობა იქით იყოს და, ჩემმა შვილებმა იციან, ჩემი კრემაციის შემდეგ ფერფლის ნაწილი "გრემიოს" სტადიონზე უნდა მიმოფანტონ, დანარჩენი კი ბრაზილიის ნაკრების რომელიმე მნიშვნელოვან მატჩზე"**.

რატი შელეგია

გამოვიდა კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერიას" თარგმანის მეორე ტომი

გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

გამოვიდა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დანიელ ფიფიას ნაწარმოებების სრული კრებული "ბორჯი", რომელიც შეადგინა და გამოსცა მწერალმა და ჟურნალისტმა ბატონმა თამაზ ფიფიამ.

წიგნის შეძენა შეიძლება ქალაქ ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩა №65-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ოფისში.

ტელ. 599-209-624

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაჩირგვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ცირეპატიტს, ნაღველის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე გიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ძობალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge